საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 29-30 სექტემბერი. 2020 წ. №120-121 (9046-9047) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ყარა-ბაღში ზარბაზნები ქუხან!..

ორივე მხარეს არის სერიოზული მსხვერპლი

სომხეთის მთავრობამ ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა და საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა.

სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე ვითარება გუშინ უკიდურესად დაიძაბა. მხარეები სამხედრო შეტაკებების და მსხვერპლის შესახებ იუწყებიან. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, სომხეთის მხრიდან გუშინ დილით ფართომასშტაბიანი შეტევა განხორციელდა. შედეგად არის მსხვერპლი. მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების მხრიდან. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, აზერბაიჯანის არმიამ კონტრშეტევა დაიწყო.

სომხეთში აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის მხრიდან დაწყებულია შეტევა მთიანი ყარაბაღის მიმართულებით. სომხეთის თავდაცვის სამინისტრო იტყობინება, რომ სომეხმა სამხედროებმა ორი აზერბაიჯანული ვერტმფრენი და უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს. მათივე ცნობით, სროლის ხმა ისმის სტეფანაკერტშიც. ამასთან, სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, აზერბაიჯანულმა მხარემ მთიან ყარაბაღში დაშორიშორების ხაზთან სარაკეტო დარტყმები მიიტანა.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ 27 სექტემბერს საბრძოლო მოქმედებების შედეგად სომხეთის 550 სამხედრო დაიღუპა და დაიჭრა.

ბაქოში ასევე აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანულმა ჯარმა 22 სომხური ტანკი და სხვა მძიმე ჯავშანტექნიკა, 18 უპილოტო საფრენი აპარატი და 3 საწყობი გაანადგურა.

სომხურმა მხარემ მონაცემები დაღუპულების შესახებ უარყო. არაღიარებული მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლების ინფორმაციით, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სომხურმა მხარემ 31 ადამიანი დაკარგა. თავის მხრივ, სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ წარმომადგენელმა არწრუნ ოვანისიანმა განაცხადა, რომ ბაქომ 27 სექტემბერს 200-მდე სამხედრო დაკარგა. ამასთან განადგურდა 30 ტანკი და 20 უპილოტო საფრენი აპარატი. მანამდე კი ბაქოში 5 დაღუპულის და 19 დაჭრილის შესახებ განაცხადეს.

სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე ვითარება 27 სექტემბერს დაიძაბა. პრემიერ-მინისტრის, ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის მიმართულებით საჰაერო და საარტილერიო შეტევა დაიწყო. აზერბაიჯანული მხარის განმარტებით კი, ისინი სომხეთის მხრიდან, მთელი ფრონტის ხაზზე სროლებს პასუხობდნენ. ორივე მხარე იუწყება, რომ დაღუპულია მშვიდობიანი მოსახლეობა...

ილია მეორე:

ვიმედოვნებთ, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის ხელისუფალნი და საერთაშორისო საზოგადოება არ დაუშვებენ ვითარების მკვეთრ ესკალაციას

ამის **შესახებ ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის წერილში, რომელსაც საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.** პატრიარქის წერილი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განახლებული ფართომასშტაბიანი დაპირისპირებას ეხება.

„დიდი შეშფოთებით შევიტყვეთ ინფორმაცია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ახლახან დაწყებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით. ეს ჩვენთვის განსაკუთრებულად მტკივნეულია, რადგან ორივე ქვეყნის მეზობლები და მეგობრები ვართ და საქართველოშიც მრავლად ცხოვრობენ როგორც აზერბაიჯანელები, ისე სომხები.

ვიმედოვნებთ, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის ხელისუფალნი და საერთაშორისო საზოგადოება არ დაუშვებენ ვითარების მკვეთრ ესკალაციას, რაც კავკასიის პრობლემად და მსოფლიოსთვისაც დიდ გამოწვევად იქცევა. აღვავლენთ ლოცვებს, რათა ღმერთი მშვიდობისა შეეწიოს სომხეთს, აზერბაიჯანსა და მთელ კავკასიას, — ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის წერილში.

„სააკაშვილი მთლად იდიოტი არ არის, იცის, რომ არჩევნებს ვერ მოიგებს“...

4



„შენ ებრაელი ხომ არა ხარ, დანელია?!..“



9

ეჰ, ცოდვილო აფხაზეთო, შენი კონსტიტუცია რუსისთვის ფარატინა ქაღალდია!

7

რატომ იქცევიან რუსი სამხედროები ისე, თითქოს აფხაზური მიწა-წყლის მეპატრონეები იყვნენ?!

ვახტანგ გორგასლის ორდენები... სიკვდილის შემდეგ

საქართველოს **პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისათვის, სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენებით დააჯილდოვა თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდია) I ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის ასეულის მეთაური და დივიზიონის წევრები.**

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდნენ: **ალექსანდრე პაპაშვილი, ლევონ ავაქოვი, ლევან ამირიანი, პაატა არაბული, ედვარდ იკაევი, ემზარ რაზმაძე, ნუგზარ რაზმაძე, ივანე სააკიანი, ზაზა სულაბერიძე, გოჩა წულაია, ერმინე ჭითანავა, რუდიკ ხაჩატურიანი, გიორგი ჯოგლიძე.** სახელმწიფო ჯილდოები მათ ოჯახებს გადაეცემათ.

პრემიერი მაღალი დონის შეხვედრებისთვის ემზადება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი 29-30 სექტემბერს ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელს ეწვევა. მთავრობის მეთაურის რანგში, ბრიუსელში პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გიორგი გახარია ევროკომისიაში, ევროპულ საბჭოში, ევროპარლამენტსა და ნატოს შტაბბინაში მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს.

29 სექტემბერს პრემიერ-მინისტრი ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს შეხვდება, რის შემდეგაც მხარეები ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრები ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელთან, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ მარგარიტის სხინასთან, ევროპარლამენტის პრეზიდენტ დავიდ-მარია სასოლისთან, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელთან, ასევე ევროკომისრებსა და ევროპარლამენტის წევრებთან. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ნათია მეზვრიშვილი იმყოფებიან.

დაცვით ქცევის კოდექსი

მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში თავად პარტიებმა საჯაროდ დაგმონ მსგავსი ქმედებები და მოუწოდონ მხარდამჭერებს, თავი შეიკავონ არაეთიკური ქცევისა და ძალადობისგან, — ამის შესახებ ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე წერს და პოლიტიკურ პარტიებს მიმართავს.

„გავრცელდა ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ხელშეშლის მცდელობის ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით, ასევე ცნობილი გახდა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ამომრჩეველთან შეხვედრისას ქვები დაუშინეს. ეს ცალსახად არ ჯდება ეთიკის იმ სტანდარტებში, რაზეც პოლიტიკური პარტიები ცესკოს ინიცირებულ ქცევის კოდექსზე ხელის მოწერით შეთანხმდნენ. მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში თავად პარტიებმა საჯაროდ დაგმონ მსგავსი ქმედებები და მოუწოდონ მხარდამჭერებს, თავი შეიკავონ არაეთიკური ქცევისა და ძალადობისგან. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მსგავსი ქმედებების ჩამდენი პირების დადგენა და მსგავს ფაქტებზე დროული რეაგირება“, — წერს თამარ ჟვანია სოციალურ ქსელში. ქცევის კოდექსი საერთაშორისო პარტნიორების ინიციატივით, ხელისუფლებამ და ცესკომ შეიმუშავეს. დოკუმენტი იმ ეთიკურ პრინციპებს აერთიანებს, რომლებიც მაქსიმალურად მშვიდი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად არის საჭირო.

ახალი უპილოტო აპარატები თავდაცვის ძალებში

საქართველოს თავდაცვის უწყებამ ესპანელი პარტნიორებისგან უპილოტო სადაზვერვო სისტემები შეიძინა, არსებული ძველი საფრენი აპარატები განაახლა და მოახდინა პერსონალის მომზადება/გადამზადება.

დაიწო დაზვერვის ქვედანაყოფების ახალი უპილოტო საფრენი აპარატებით დაკომპლექტება, რომელიც ითვალისწინებს ამ ქვედანაყოფების აღჭურვას თანამედროვე ტაქტიკური და ოპერატიული უპილოტო სადაზვერვო სისტემებით. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესპანური უპილოტო სადაზვერ-

ვო სისტემები მარნეულის საავიაციო ბაზაზე დაათვალიერა და სადემონსტრაციო ფრენას დაესწრო. უპილოტო სადაზვერვო სისტემების განახლება და შეძენა საქართველოს თავდაცვით შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

უპილოტო სადაზვერვო სისტემების განახლების გარდა, აქტიურად მიმდინარეობს საჰაერო თავდაცვის, ჯავშანსაწინააღმდეგო შეიარაღების, თანამედროვე საარტილერიო და სადაზვერვო სისტემების შეძენა და ამ შესაძლებლობების განვითარება.

შეხვედრა სხვადასხვა რელიგიის კონფესიის წარმომადგენლებთან

მთავრობის ადმინისტრაციაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ სხვადასხვა რელიგიის კონფესიის წარმომადგენლებთან მორიგი შეხვედრა გამართა.

სხდომაზე ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელმა კომისიამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მუსლიმი თემის, სომეხთა სამოციქულო და ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკლესიების წარმომადგენლებს მოუსმინა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, სხდომაზე სულ 33 საკითხი

განიხილეს, აქედან 26 მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხი იყო, საიდანაც 20 დაკმაყოფილდა, რელიგიურმა უმცირესობამ კი სხდომაზე 7 საკითხი წარადგინა, საიდანაც 5 დაკმაყოფილდა.

თბილისში ინფექცია ჯერ აქტიურად არ ცირკულირებს

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, იუსტიციის სახლთან მოწყობილ სივრცეში ნიმუშის ასაღებად მისული 988 ადამიანიდან კორონავირუსი მხოლოდ შვიდს დაუდასტურდა. გამყრელიძის თქმით, ეს ნიშნავს, რომ თბილისში ინფექცია ჯერ აქტიურად არ ცირკულირებს.

გარდა ამისა, იგი ამბობს, რომ აჭარის მსგავსად სხვა რეგიონებში კარვების განთავსება არ იგეგმება. ამირან გამყრელიძე სკოლებში, საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვის აუცილებლობაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისივე თქმით, ამ ეტაპზე ქვეყანაში ეპიდვითარება სრულად მართვადი და კონტროლირებადია.

„სწავლა იწყება, სწავლის დაწყება დაკავშირებულია გარკვეულად მობილობის სერიოზულ ზრდასთან. ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს, მეტი დაცვა იმ რეკომენდაციებისა, რაზეც ვსაუბრობთ — პირბადე, დისტანცია, ხელების დამუშავება განსაკუთრებით სკოლებში და პატარა ბავშვებში სანიტარული პირობების უმკაცრესად დაცვა, მაგრამ ყოველდღიური შემთხვევების ზრდა გვექნება. მთავარია, ამ ეტაპზე სისტემა მას მართავს და ეპიდსიტუაცია ქვეყანაში რჩება სრულად მართვადი, კონტროლირებადი. შემთხვევათა რაოდენობა იმერეყვევს დაახლოებით 200, 400, 500-ს შორის, მთელ ქვეყანაში და არა ყოველდღიურად. ჯერ-ჯერობით 72 პროცენტი მოდის აჭარაზე, ამიტომ ყურადღება მიქცეულია აჭარაზე. ჩვენ ეპიდემიოლოგების რამდენიმე ჯგუფი მუშაობს იქ „პისიარ“ ტექნოლოგიების სპეციალისტების, ორი ლაბორატორია მაქსიმალურად იმართება, დავასვენეთ ისინი, ვინც უკვე ამდენი შრომით ქანცგაწყვეტილები იყვნენ. ვფიქრობ, ჩვენ დავასტაბილურებთ ამ მდგომარეობას აჭარაში და მთლიანად ქვეყანაში, ამიტომ მედიის მხარდაჭერა აუცილებელია. მედიაშეხვედრაზე ხაზი გავუსვი, ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული თქვენზე, იმაზე, რომ პანიკა არ შეიქმნას, რა თქმა უნდა, ძალიან საყურადღებოა, რაც ხდება — შემთხვევათა ზრდა, მაგრამ არ არის შემთხვევების დრამატული ზრდა, რომლის გამოც ქვეყანაში პანიკა შევქმნათ, ზრდა კონტროლირებადი და მართვადია“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

რა შემთხვევაში ჩაითვლება უსიმპტომო კოვიდინფიცირებული გამოჯანმრთელებულად!

ჯანდაცვის სამინისტრო უსიმპტომო პაციენტებისთვის გამოჯანმრთელებულის სტატუსის მინიჭების გაიდლაინს შეცვლის, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ განუცხადა. მისი თქმით, ჯანმომ უკვე განაცხადა, რომ ვირუსის დადასტურებიდან 8 დღეში პაციენტი გადამდებად უკვე არ ითვლება, ამიტომ მოქმედი სქემა იცვლება.

„პირი, რომელსაც ტესტირების დღიდან გაუვიდა 12 დღე და მას სიმპტომი არ აღენიშნება, ჩაითვლება გამოჯანმრთელებულად და მას შეუძლია დაუბრუნდეს სოციალურ აქტივობას პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის ტესტის განმეორებით ჩატარების გარეშე. რაც შეეხება სიმპტომურ პირებს, რომლებიც იმყოფებიან საავადმყოფოში, აქ მინიმალური ხანგრძლივობა გამოჯანმრთელებამდე არის 13 დღე. 13 დღეში იგულისხმება 10 დღე სიმპტომების პერიოდი და 3 დღე უსიმპტომო პერიოდი. ამასთან ერთად, შესაძლოა, საჭირო იყოს კლინიკური გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად მზად არის კლინიკურად პაციენტი, ჩვეულ სოციალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს, თუმცა ეპიდემიოლოგიური რისკების თვალსაზრისით ესეთი პაციენტებიც მე-14, მე-15 დღიდან, თუ 3 დღე არიან სიმპტომებისგან თავისუფალი, ითვლება რომ აღარ წარმოადგენენ რისკს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით“, — განაცხადა გაბუნიამ.

„დებატები 2020“

საქართველოს „პირველმა არხმა“ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მონაწილეობით გუშინ კენჭისყრა გამართა, რომლის მიხედვითაც, „დებატები 2020“-ის მონაწილე პარტიების რიგითობა და თითოეულ გადაცემაში პარტიების შემადგენლობა განსაზღვრა.

კვალიფიციური სუბიექტები:

პირველი ოქტომბერი — „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ 10; „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა — ქდმ“ 4; „ტრადიციონალისტები“ 53; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 8;

15 ოქტომბერი — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ 41; „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“ 27; „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ 12; „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“ 33;

22 ოქტომბერი — „თავისუფლებაზვიად გამსახურდიას გზა“ 31; „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ 16; „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ 37; „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია — ევროპული საქართველო — მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 2; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ 5;

29 ოქტომბერი — „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა“ 3; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ 51; „თავისუფალი დემოკრატები“ 25; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“ 21; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 18;

არაკვალიფიციური სუბიექტები:

6 ოქტომბერი — „მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ 57; „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) 43; „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ 24; „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ 59; „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ 55; „სოციალური სამართლიანობისათვის“ 34; „საქართველო“ 20; „ქართველ ნაციონალისტთა ერთობა — გაიოზ მამალაძე“ 40; „ჯონდი ბაღათურია — ქართული დასი“ 49; „შეცვალე საქართველო“ 30;

13 ოქტომბერი — „გია ჟორჟოლიანი — სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ 46; „ბეჟან გუნავა — ქართული არჩევანი“ 14; „ანა რეხვიაშვილი — სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“ 54; „საქართველოს პენსიონერთა უფლებათა დაცვის კავშირი“ 39; „ქართული ფესვები“ 28; „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია“ 58; „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“ 52; „იბერიელთა ერთობა“ 38; „ლელო- მამუკა ხაზარაძე“ 56; „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ 7;

20 ოქტომბერი — „ქართული იდეა“ 44; „გაჩეჩილაძე — მწვანეთა პარტია“ 9; „მომავალი საქართველო“ 6; „ეკა ბესელია სამართლიანობისთვის“ 26; „რეფორმატორები“ 42; „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“ 45; „საქართველოს განვითარების პარტია“ 60; „ახალი ძალა“ 23; „არჩევანი სამშობლოსათვის“ 48; „დავით ჭიჭინაძე „ტრიბუნა“ 29;

27 ოქტომბერი — „ოქრუაშვილი გამარჯვებული საქართველო“ 17; „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო — სოლიდარობის ალიანსი“ 19; „კონსერვატიული პარტია“ 47; „გირჩი“ 36; „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ 15; „პროგრესული საქართველო“ 50; „სახალხო პარტია“ 32; „რეფორმერი“ 13; „თეთრები“ 1; „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ 11; „საქართველოს ევროატლანტიკური გზა“ 22.

ღმერთი, ოჯახი, სამშობლო!

უოლტ უიტმენიდან - დონალდ ტრამპამდე

„მემარცხენე ტიპის კულტურული რევოლუცია ვერ შეძლებს ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლას და თავისუფლების ხელყოფას.თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეებისადმი ერთგულება,რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ამერიკულ სულს, მოდის ჩვენი ქვეყნის სათავეებიდან, რომელსაც საფუძველი ჩვენმა დამფუძნებელმა მამებმა ჩაუყარეს. დიდება მათ სულებს! ორასორმოცდაოთხი წელია, ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ჩადებული პრინციპები ჩვენი ქვეყნის წინსვლის მთავარი მამოძრავებელი ძალაა და უნარჩუნებს მას თავისუფლების შუქურის სტატუსს. ღმერთმა დალოცოს ამერიკის შეერთებული შტატები!“ — ამ სიტყვებით მიმართა **დონალდ ტრამპმა** ამერიკელ ხალხს.

უამრავჯერ თქმულა და დაწერილა იმ აგრესიული ლიბერალიზმის მომაკვდინებელი ბაცილის შესახებ, რაც 80-იანი წლების ბოლოდან ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოედო და შემდგომ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ბაცილის, რომელმაც ჯერ **„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“** იდეა დაამახინჯა და შემდგომ ეკონომიკიდან დაწყებული, ყველაფერს, თვით იმ ფასეულობებსაც მოედო, რომელზეც კაცობრიობა იდგა.

დღესავით ნათელია, რომ ამ უბედურებასთან ბრძოლა და გამკლავება, სწორედაც რომ თავად ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელეწიფება და დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა არსებითად წყვდიადში გამონათების ტოლფასი გახდა.

იმ მარაზმმა, რაც აშშ-ში ამ რამდენიმე თვის წინ ხდებოდა და რასაც ტელეეკრანებიდან თუ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით ვადევნებდით თვალყურს, საქართველოში გადმოსვლის და ისედაც შერყეული ფასეულობების საბოლოოდ განადგურების წინაპირობა იყო, საზოგადოების გამოფხიზლების და რეალური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა განაპირობა.

„ოპტიმალური გამოსავალი საქართველოსთვის შემდგომი კონფრონტაციის გარეშე არჩევნებზე ტრამპის წარმატება იქნებოდა; მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში აგრესიული ლიბერალიზმის ბაცილის კაპიტალურად თავიდან მოშორება; საზოგადოების ღირებულებების თავიდან გადაფასება; გლობალიზაციის პროცესის გადახედვა ხალხების სასიკეთოდ; ერების განვითარების სამართლიანი მოდელებით ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა; პლანეტარული მასშტაბის შესაბამისი გარემოსდაცვითი პროგრამა; ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური უსაფრთხოების მყარი გარანტიების სისტემის შექმნა, საინფორმაციო პოლიტიკის და საშუალებების მკაცრი სამართლიანი მოწესრიგება, არა თავისუფალი სიტყვის ხარჯზე და სხვა“, — ირაკლი გოგავა.

რა გეგმები აქვთ ე.წ. „მემარცხენეებს“ და რის გაკეთებას აპირებენ ნოემბერში ტრამპის გამარჯვების შეთხვევაში.

გასული თვეების განმავლობაში შეუძლებელია, ყურადღება არ მიაქციო იმ ურიცხვ სტატიებს, სადაც მოითხრობილია, თუ როგორ აპირებს პრეზიდენტი ტრამპი ძალაუფლების შენარჩუნებას ნებისმიერი გზით, თუკი ის დამარცხდება საპრეზიდენტო არჩევნებში. აი, რამდენიმე მაგალითი: The Nation („ტრამპი სახელმწიფო გადატრიალებას აპირებს?“) The Atlantic („რა შეიძლება მოიმოქმედოს მან? რისი უნდა ეშინოდეთ ამერიკელებს?“). მემარცხენე მედია გაუთავებლად ცდილობს ჩვენს დარწმუნებას, რომ ტრამპი ძალის გამოყენებით აპირებს ძალაუფლების შენარჩუნებას და ქვეყნის გასაკონტროლებლად გამოიყენებს ეროვნულ გვარდიას და სამხედროებს. აქ ჩვენ შეგვიძლია, გავავლოთ პარალელი 1860 წლის არჩევნებთან, როდესაც მონებით მოვაჭრე სამხრეთულმა შტატებმა განაცხადეს, რომ ისინი გამოეყოფოდნენ ფედერალურ მთავრობას ლინკოლნის გამარჯვების შემთხვევაში. როგორც ვიცით, ამ გამოყოფის შედეგი სამოქალაქო ომი იყო. დღეს მემარცხენეები იმუქრებიან არეულობით ქუჩებში, თუკი არჩევნები მათ სასარგებლოდ არ დასრულდება. ერთი კვირის წინ შეიკრიბა მოძრაობა „Fight Back Table“, რომელიც წარმოადგენს 50-ზე მეტი „მემარცხენე“ ჯგუფის კოალიციას. მათ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა არჩევნების დღეს გამარჯვებულის არგამოვლენის შემთხვევაში. ისინი აშკარად ამყარებენ იმედებს ხანგრძლივ მასობრივ არეულობებზე, მაროდიორობასა და ბუნტზე. ჯო ბაიდენმა ისიც კი ახსენა, რომ სამხედროებს შეიძლება, ტრამპის თეთრი სახლიდან ძალით გამოყვანა მოუწიოთ, თუკი ის შეეცდება „მოიპაროს არჩევნები“. აშკარაა, რომ „მემარცხენეები“ მხოლოდ ბაიდენის გამარჯვებას მიიღებენ და ვერ წარმოუდგენიათ არჩევნები, რომელშიც ტრამპი გაყალბების გარეშე გაიმარჯვებს. ის ჯგუფები, რომელნიც თვეების განმავლობაში არეულობებში მონაწილეობით იყვნენ დაკავებულნი, ამჯერად მოითხოვენ მთავრობის მოშლას. ეს კი კონსტიტუციური სისტემის დასასრული იქნება. 160 წლის წინათ ჩრდილოელთა უმრავლესობამ არ მიიღო სერიოზულად სამხრეთის მუქარა კავშირიდან გასვლის შესახებ და ეს ყველაფერი ომითა და სისხლისღვრით დასრულდა. დღეს ჩვენ მსგავსი სცენარის წინაშე ვდგავართ და გარკვეულმა ჯგუფებმა უკვე გაიარეს რეპეტიცია იმისა, თუ რა შეიძლება მოიმოქმედონ „მემარცხენეებმა“ ნოემბერში.

ამ და სხვა აუცილებელი ინფორმაციის საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანის მიზნით საქართველოში ტრამპის მხარდამჭერი ორგანიზაცია „ჩვენ ვართ/We Are“ შეიქმნა. ორგანიზაცია სოციალურ პლატფორმაზე ჩამოყალიბდა და მასში გაერთიანდნენ ქართველი პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, პუბლიცისტები და სოციალური ქსელების აქტივისტები.

ამ მართლაც საჭირო საქმის თაოსნობა ხათუნა ხოფერიამ, ირაკლი გოგავამ, რევაზ რეხვიაშვილმა და საზოგადოებისთვის პატივსაცემმა სხვა ადამიანებმა თავიანთ თავზე აიღეს და ძმები ზუბალაშვილების ქუჩის 21-ში საკმაოდ საყურადღებო შეხვედრებსა თუ დისკუსიებს ჩაუყარეს საფუძველი.

მამუკა არეშიძემ, ლევან ლორთქიფანიძემ, ირაკლი გოგავამ და სხვებმა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ორგანიზაციის ცხოვრებაში, უკვე გამართეს საკმაოდ საყურადღებო შეხვედრები დაინტერესებულ საზოგადოებასთან და დღევანდელი გამოწვევების ფონზე საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების განვითარებაზე იმსჯელეს.

რეზო რეხვიაშვილი კი ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდზე (https://www.facebook.com/%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-We-Are-568397026654141) მუდმივად ათავსებს ინფორმაციას ამერიკის დამფუძნებელი მამებისა და ამერიკის ისტორიის სხვადასხვა დროის შესახებ.

„ეს არის დონალდ ტრამპის მხარდამჭერი პლატფორმა. იმ ბრძოლას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ნეოლიბერალურ, ულტრამემარცხენე იდეოლოგიას და პატრიოტულ პლატფორმას შორის მიმდინარეობს, ჩვენთვის აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის. თუ ჩვენ გვსურს, რომ აგრესიულ ლიბერალიზმს თავი დავაღწიოთ, შევინარჩუნოთ ჩვენი სახელმწიფო ტრადიციები, მნიშვნელოვანია, რომ ტრამპის პლატფორმას დავუჭიროთ მხარი. აღნიშნული პლატფორმა თავის ლოზუნგად პირდაპირ აცხადებს: ღმერთი, ოჯახი, სამშობლო“, — ნათქვამია ორგანიზაციის სადამფუძნებლო მიმართვაში.

წერილის ბოლოს გთავაზობთ ამონარიდს დონალდ ტრამპის საარჩევნო პროგრამიდან, რომელიც საქართველოსთვის ნამდვილად სამაგალითო იქნებოდა:

10 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი პირველ 10 თვეში.

— 1 მილიონი ახალი მცირე ბიზნესის ამუშავება.

— გადასახადების შემცირება.

— ახალი სავაჭრო შეთანხმებების დადების დროს სამამულო მწარმოებლის მიზნების დაცვა და დამატებითი საგადასახადო შეღავათების დაწესება.

— სახელმწიფო რეგულაციების შემცირება.

— ენერგეტიკული დამოუკიდებლობა.

— ვირუსის ელიმინაცია და ჩვეული ცხოვრების დაბრუნება.

— მედიკამენტების ადგილობრივი წარმოება.

— მრეწველობის დარგში 1 მილიონი სამუშაო ადგილის დაბრუნება ჩინეთიდან.

— სახელმწიფო შესყიდვების შეზღუდვა იმ ფირმებისგან, რომელთაც გაიტანეს წარმოება საზღვარგარეთ.

— სრული პასუხისმგებლობის დაკისრება ჩინეთს „კოვიდ 19“-ზე.

— მედიკამენტების და სამედიცინო დაზღვევის გაიაფება.

— ვეტერანთა სოციალური პაკეტის გაზრდა.

— სკოლებში პატრიოტული აღზრდის გაძლიერება.

— გლობალიზმის ჭაობის დაშრობა.

— კონგრესმენთა მხოლოდ ორი ვადით არჩევა.

— იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ გამოძიების დაწყება, რომელნიც ამერიკელ მოქალაქეთა მიზნებს ვნებენ.

— ამერიკელი ჯარისკაცების სამშობლოში დაბრუნება უცხოეთიდან.

— ომების თავიდან აცილება, სამშვიდობო შეთანხმებების დადება.

— პოლიციის გაძლიერება. „ანტიფას“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადება და მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

— არალეგალური იმიგრაციის შეჩერება.

— ადამიანებით ვაჭრობის ქსელების განადგურება.

— კოსმოსური ძალების გაძლიერება, მუდმივი ბაზა მთვარეზე და ადამიანის გადასმა მარსზე.

— ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყალი და ჰაერი, ოკეანეების გაწმენდა.

— 1 ტრილიონი ხის დარგვის თაოსნობასთან შეერთება...

გია გაბრიჭიძე

გოგა ხაინდრავა: 25 წელი ველოდებოდი ასეთ შეხვედრას

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ზუგდიდის რაიონის ისტორიულ სოფელ ჯიხაშკარში. სამეგრელოს მხარის ავტორიტეტულმა ადამიანებმა, ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ კინორეჟისორს გოგა ხაინდრავას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრს, ბატონ როლანდ ნიჟარაძეს.

ამ შეხვედრისთვის დიდხანს ემზადებოდნენ მხარის თავკაცები და ეს შეხვედრაც შედგა. მეტად საინტერესო საუბარი გაიმართა. გააანალიზეს ბოლო 30 წლის მოვლენები, ისაუბრეს მხარის პრობლემებზე და ბოლო წლების მიღწევებზე. გადაწყდა, რომ სამეგრელოში 31 ოქტომბერს ყველა გამოვა არჩევნებზე, სახლში არ დარჩება არავინ და ხმას მისცემენ იმ ძალას, რომელიც ზრუნავს ხალხზე, ქვეყანაზე, ვინც აშენებს და აწესრიგებს ინფრასტრუქტურას, ვინც ათიათასობით ადამიანი განკურნა, ვინც ეხმარება ახალგაზრდებს განათლების მიღებაში...

შეხვედრა რამდენიმე საათი გაგრძელდა და ცხადი გახდა, რომ „ქართულ ოცნებას“ სამეგრელოში ალტერნატივა არა აქვს. **„სამეგრელოს, ზუგდიდის მოსახლეობის უმრავლესობა 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში მხარს დაუჭერს მმართველ პარტიას, მის ლიდერს, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ ქველმოქმედსა და მეცენატს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ეს შეხვედრა საჭირო იყო, რომელსაც სამეგრელოს სახალხო ავტორიტეტები ესწრებოდნენ. ისინი ერთგულობდნენ ეროვნულ პიროვნებებს და დღესაც იმ პიროვნებების მხარეს არიან, რომლებიც ხალხს ეხმარებიან, ქვეყნის გაძლიერებას ხელმძღვანელობენ. მათ სიტყვებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული სამეგრელოში. ჩვენ ყველაფერზე შევთანხმდით და შედეგიც სასურველი გვექნება, ამაში დარწმუნებული ვარ,“** — თქვა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ.

მინისტრის განცხადებით ამ ხალხის სურვილი იყო, შეხვედროდა გოგა ხაინდრავას და ეს გოგასაც სურდა. გოგა ხაინდრავა ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით. **„მე 25 წელი ველოდი ასეთ შეხვედრას. იყო დრო, როცა ჩვენ დაპირისპირებულნი ვიყავით, სხვადასხვა მხარეს ვიმყოფებოდით. ჩემზე ჭორები ვრცელდებოდა, ღვთისა და ერის წინაშე გეფიცებით და გარწმუნებთ, რომ იარაღიდან არათუ გამისვრია, არამედ იარაღი ცხოვრებაში არ მჭერია ხელში. ჩემი იარაღი ყოველთვის იყო ვიდეოკამერა. დიდი მადლობა გულთბილი შეხვედრისთვის. მთავარია, ჩვენ ახლა ერთად ვართ და ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებას,“** — განუცხადა დამსწრეთ გოგა ხაინდრავამ.

ლადო ქირია,
ზუგდიდიდან

„სააკაშვილი მთლად იდიოტი არ არის, იცის, რომ არჩევნებს ვერ მოიგებს“...

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. ძირითადად, აქცენტი ძველ სახეებზე და გამოცდილ პოლიტიკოსებზე გააკეთეს. უმეტესი მათგანი კი წინა ხელისუფლებაში უკვე მოღვაწეობდა და საზოგადოება მათ კარგად იცნობს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამომრჩეველს ახალი სახეები მხოლოდ სამ ოლქში წარუდგინა. პარტიაში ამბობენ, რომ მათ კანდიდატების წარდგენის დროს რამდენიმე კრიტერიუმით იხელმძღვანელეს – ისინი თავიანთ მაჟორიტარულ ოლქებში ცნობადები, გავლენიანი და ავტორიტეტული ფიგურები არიან. ამასთანავე მათი პროფესიონალიზმი და პოლიტიკური ბიოგრაფია აქვთ.

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ამ სიის წარმოდგენის შემდეგ ნათლად ჩანს: მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის, არჩევნებს ვერ მოგებს და ის მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებაზეა გადასული, ამიტომაც აქცენტი ცნობად და გამოცდილ პოლიტიკოსებზე გააკეთა. სხვაგვარად გაუგებარია, რატომ უნდა დააყენო ის ადამიანები კანდიდატებად, რომლებმაც ნაციონალების ხელისუფლების დასუსტებაში დიდი როლი შეიტანეს და სწორედ ეს ადამიანები იყვნენ 2012 წელს ხელისუფლებაში, როდესაც ხალხმა ეს პარტია სახლში გაუშვა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი ფიქრობს, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ძალა ერთობაშია“ შეძლეს ძალიან ძლიერი მაჟორიტარების გუნდის წარმოდგენა.

„გარდა ტრადიციული ლიდერებისა, აქ არის ახალი შემომატებული ხალხი, აქ არის ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია, ძალიან მაგარი ექიმი ზუგდიდიდან მალხაზ ჯალაღონია. აქ არიან ძალიან გამორჩეული და წამყვანი ბიზნესმენები და ის, რომ ბიზნესი გადმოვიდა აქეთ, ეს არის უტყუარი ნიშანი იმისა, რომ საქართველოში ყველაფერი იცვლება და იწყება ახალი ეპოქა. ასევე, შემოგვიერთდა ნანუკა ჟორჟოლიანი, არა მხოლოდ ტელესივრცის სუპერვარსკვლავი, არამედ ზოგადად, შემოქმედებითი პროფესიებისა საქართველოში. ესეც ძალიან დიდი შენაძენია. ასევე, დევი ჭანკოტაძე, ჩვენი გენერალი. თავიდან ვვარაუდობდით, რომ ის უნდა ყოფილიყო მაჟორიტარი დეპუტატი, იქნება ჩვენი ნაციონალური სიის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი იმიტომ, რომ ეს არის ადამიანი, რომელსაც წარმოუდგენელი დამსახურებები აქვს საქართველოს ისტორიის წინაშე. ის, რომ დევი ჩვენთან არის, ის რომ საქართველოს სამსახურში დგას ისევ, ეს სწორედ ნიშანია, რომ ჩვენ მივდივართ გამარჯვებისკენ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

თბილისის მასშტაბით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ დეპუტატობის კანდიდატების სია კი ასე გამოიყურება:

გლდანის საარჩევნო ოლქი – **ნიკა მელია;** სამგორის საარჩევნო ოლქი – **ლევან ხაბეიშვილი;** ისნის საარჩევნო ოლქი – **ხატია დეკანოიძე;**

რაც შეეხება რეგიონებს, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატების სია ასეთია: მცხეთა-დუშეთი-თიანეთი-ყაზბეგის საარჩევნო ოლქი – **ცეზარ ჩოჩელი;** თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხის საარჩევნო ოლქი – **გიორგი ბოტკოველი;** გურჯაანი-საგარეჯო-სიღნაღი-დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქი – **ლევან ბეჟაშვილი;** რუსთავის საარჩევნო ოლქი – **დავით კირკიტაძე;** მარნეული-გარდაბნის საარჩევნო ოლქი – **აზერ სულეიმანოვი;** ბოლნისი-დმანისი-თეთრიწყარო-წალკის საარჩევნო ოლქი – **კახა ოქრიაშვილი;** გორი-კასპის საარჩევნო ოლქი – **ბადრი ბასიშვილი;** ხაშური-ქარელის საარჩევნო ოლქი – **ნატო ჩხეიძე;** ახალციხე-ადიგენი-ბორჯომი-ასპინძის საარჩევნო ოლქი – **ვაჟა ჩიტაშვილი;** ახალქალაქი-ნინოწმინდის საარჩევნო ოლქი – **მელიქ რაისიანი;**

ქუთაისის საარჩევნო ოლქი – **გრიგოლ ვაშაძე;** საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის საარჩევნო ოლქი – **გიორგი კაპანაძე;** ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყიბულის საარჩევნო ოლქი – **კახა გეწაძე;** სამტრედია-წყალტუბო-ვანი-ხონის საარჩევნო ოლქი – **ნანუკა ჟორჟოლიანი;** ამბროლაური-ონი-ცაგერი-მესტია-ლენტეხის საარჩევნო ოლქი – **დილარ ხაბულიანი;** ზუგდიდის საარჩევნო ოლქი – **მალხაზ ჯალაღონია;** ფოთი-ხობი-სენაკის საარჩევნო ოლქი – **მურთაზ ზოდელავა;** აბაშა-მარტვილი-წალენჯიხა-ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი – **როლანდ ფიფია;** ოზურგეთი-ლანჩხუთი-ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი – **მანუჩარ კვირკველია;** ბათუმის საარჩევნო ოლქი – **ლევან ვარშალომიძე;** ქობულეთის საარჩევნო ოლქი – **ბონდო თევდორაძე;** ხულო-შუახევი-ქედისა და ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი – **მიშა ბოლქვაძე;**

„ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშიამ“ კანდიდატები დაასახელა აჭარის უმაღლეს საბჭოშიც: ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო – **გია აბულაძე;** ქობულეთი – **ელგუჯა ბაგრატიონი;** ბათუმი – **გიორგი კირთაძე.**

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვრცელდებოდა ინფორმაცია ზუგდიდის ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად მიხეილ სააკაშვილის დედის **გიული ალასანიას** დასახელების შესახებ. თუმცა სააკაშვილმა დედის დაყენება გადაიფიქრა. ასევე უკვე ცნობილი იყო, რომ სამტრედია-წყალტუბო-ვანი-ხონის საარჩევნო ოლქში კანდიდატი გენერალი **დევი ჭანკოტაძე** იქნებოდა, თუმცა მის მაგივრად **ნანუკა ჟორჯოლიანი** დაასახელეს. პარტიაში ეს გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ გენერალი პარტიულ სიაში იქნება.

* * *



ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან აცხადებს, რომ მას „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის შემდეგ შთაბეჭდილება დარჩა, რომ ეს პარტია მოსაგებად ბრძოლას არ აპირებს და მას გათვლა მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებასა და შენარჩუნებაზე აქვს გაკეთებული. მისი თქმით, ნაციონალებმა მაჟორიტარულ ოლქებში სამი ადამიანის გარდა ყველა ის პირი წარადგინა, რომლებიც 2012 წელს მოსახლეობამ ხელისუფლებიდან გაუშვა. შესაბამისად, ნეიტრალური და ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლისთვის ახალი არაფერი შეუთავაზებია. რაც შეეხება გიული ალასანიას ზუგდიდში არდაყენებას, როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება პირადად ამ ქალბატონმა მიიღო და ჩათვალა, რომ მისი ასაკიდან გამომდინარე ამ „სპორტულ“ შეჯიბრში მონაწილეობა არ უნდა მიეღო.

„რაც შეეხება ნანუკა ჟორჟოლიანით დევი ჭანკოტაძის ჩანაცვლებას, არ მგონია, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. ნაციონალების მთავარი მიზანია, რომ დარჩეს პირველ ოპოზიციურ ძალად და არანაირ გამარჯვებაზე ისინი არ ფიქრობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინ, ისევ იმ სახეებს არ დაასახელებდნენ კანდიდატებად, რომლებიც 2012 წელს მოსახლეობამ ხელისუფლებიდან გაუშვა. ისინი იღვწიან მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებისკენ. ეს სია ამის თქმის საშუალებას იძლევა. ნეიტრალურად განწყობილ და ჩამოუყალიბებელ ამომრჩეველს, რომელიც ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად არის განწყობილი, ახალს არაფერს სთავაზობენ. რაც შეეხება ოქრიაშვილს, ჩოჩელს, რომლებსაც ნაციონალები ამდენი ხანია აკრიტიკებენ, იმიტომ იღებენ თავის რიგებში, რომ კადრები არ ჰყავთ. ივანიშვილიც რომ მივიდეს თავის ფულით, უარს კი არ ეტყვიან“, – აცხადებს საყვარელიძე.

გია ხუხაშვილი კი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლობა პარამეტრებით უფრო უკეთესად გამოიყურება. ეს არის ცნობადობა, პოლიტიკური გამოცდილება და შესაძლებლობები. თუმცა არის სისტემური ხარვეზები, რომელიც წარსულის ცოდვებს ეხება. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ეს კანდიდატები საარჩევნო კამპანიაში უკვე მინუსებით შედიან და წარსულის ცოდვები თან სდევთ. თუმცა მათი საარჩევნო კამპანია მათსავე ამომრჩეველზეა განსაზღვრული.

„თქვენ გგონიათ, სააკაშვილი მართლა ფიქრობს, რომ არჩევნებს მოიგებს? არ ჰგონია, რომ მოიგებს, ეს არის პოლიტიკური მანევრირება და ამომრჩევლის მობილიზება. ნაციონალებს და ევროპელებს საერთო ელექტორატი ჰყავთ და ისინი მის გაყოფას ცდილობენ. ეს შიდა კონკურენციაა. სააკაშვილი მთლად იდიოტი არ არის და მან იცის, რომ არჩევნებს ვერ მოიგებს. ამიტომაც აქცენტი გააკეთა პოლიტიკურად ცნობად სახეებზე, რომლებსაც პოლიტიკური გამოცდილება აქვთ. რა თქმა უნდა, მუშაობს საკუთარ ამომრჩეველზე“, – აცხადებს ხუხაშვილი.

რაც შეეხება ზუგდიდის მაჟორიტარულ ოლქს, სადაც გიული ალასანიას დაყენება პარტიამ გადაიფიქრა, გია ხუხაშვილის შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ „ნაცმოძრაობა“ ამ ოლქში გიგი უგულავაზე უფრო ცნობად პირს ვერ დააყენებდა, აქცენტი „პარტიული პრობლემების ჩამორეცხვაზე“ გააკეთეს.

ანალიტიკოსიის აზრით, სისტემური ხარვეზი, ანუ ანტიმიშას ხარვეზი ყველაზე გადადის. შესაბამისად, ამომრჩევლისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ კომპრომატის ტვირთი რამდენად აწევადი იქნება, რთული სათქმელია, მაგრამ სადღაც შესაძლებელი იქნება და სადღაც – შეუძლებელი. ხუხაშვილი ამბობს, რომ სიას სისტემური პარტიული ხარვეზი აქვს, რაც მათ ამოცანას – მოიგონ არჩევნები – გაართულებს.

ლიკა ბერიკაშვილი

მიხეილ სააკაშვილი – ევროკავშირის ზოგი დირექტივა იდიოტურია...

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, უკრაინის რეფორმების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ევროკავშირის ზოგი დირექტივა იდიოტურია.

უკრაინულ ტელეკომპანია, „უკრაინა 24“-ის გადაცემაში, „უკრაინა ტიგრან მარტიროსიანთან“ სტუმრობისას, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის კაფეში ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზით შემოწმებას ყოველ კვირაში ატარებს და უკრაინაში მსგავსი სისტემის დანერგვა „სრულ ქაოსს და კორუფციას“ გამოიწვევს.

„ევროკავშირის დირექტივების ბრმად მიყოლა არასწორია“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ თუ უკრაინა მიიღებს იგივე კანონებს, როგორც ავსტრიასა და შვედეთშია, უკრაინელები უკეთ ვერ იცხოვრებენ, პირიქით, მათი ცხოვრება გაუარესდება.

სამხრეთ კავკასია დიდი ომის პირისპირ...

სომხეთ-აზერბაიჯანს შორის საომარი მოქმედებები განახლდა. ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, საომარი მდგომარეობა აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე დღეიდან ამოქმედდა. ამასთან, აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილზე კომენდანტის საათი დაწესდა ადგილობრივი დროით საღამოს 9:00 საათიდან დილის 6:00 საათამდე. რეჟიმი იმოქმედებს ბაქოში, განჯაში, სუმგაითში, ევლახში, მინგეჩაურში, ნაფთალანში და კიდევ 16-მდე რაიონის ტერიტორიაზე.

კომენდანტის საათის პერიოდში მოქალაქეებს ეკრძალებათ ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნა სპეციალური ნებართვის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობის შემოღების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ვითარება გამწვავდა და მხარეებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი განახლდა. ორივე მხარე მსხვერპლის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას და შექმნილი ვითარების გამო პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ.

აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა სამხედრო ოპერაციის შედეგად, გორანბოის მიმართულებით, მურავის სიმაღლე აიღეს. ამან საშუალება მისცა აზერბაიჯანელ სამხედროებს, რომ კონტროლი მოეპოვებინათ სომხეთის ქალაქ ვარდენისსა და მთიან ყარაბაღში მდებარე ქალაქ აღდერეს დამაკავშირებელ გზაზე. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეს ხელს შეუშლის სომხეთიდან ყარაბაღში დამატებითი სამხედრო ტვირთების ტრანსპორტირებას.

თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება. ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, აზერბაიჯანულ მხარეს არ სურს ამ კონფლიქტის სანახევროდ გადაჭრა. ალიევი ხაზგასმით აცხადებს, რომ სხვა ქვეყნების მიწები არ სჭირდებათ, მაგრამ მათ მიწას არავის მისცემენ.

„ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება წარმოადგენს აზერბაიჯანის ამოცანას და ბაქო არ დათანხმდება მის სანახევროდ გადაწყვეტას. არ დავუშვებთ „სომხურ სახელმწიფოს“ აზერბაიჯანის მიწაზე და დღევანდელი მოვლენები ამას კიდევ ერთხელ აჩვენებს“, — განაცხადა **ილჰამ ალიევმა**.

* * *

კონფლიქტის მეორე მხარე, სომხეთი მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის საკითხს არ გამორიცხავს. სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანსა და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, რა დროსაც მხარეებმა მთიან ყარაბაღში გამწვავებული ვითარება განიხილეს. ფაშინიანი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, არ დაუშვას თურქეთის ჩართვა კონფლიქტში.

„ვდგავართ ფართომასშტაბიანი ომის ზღვარზე სამხრეთ კავკასიაში. მოვუწოდებ ეუთოს, მინსკის ჯგუფს და მთელ საერთაშორისო საზოგადოებას, ყურადღება გაამახვილოს ვითარების სერიოზულობაზე. ჩვენ ვდგავართ ფართომასშტაბიანი ომის ზღვარზე სამხრეთ კავკასიაში, რასაც შეიძლება ჰქონდეს ყველაზე არაპროგნოზირებადი შედეგები. ომი შეიძლება გასცდეს რეგიონის საზღვრებს და მიიღოს გაცილებით ფართო მასშტაბი. მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას, გამოიყენოს ყველა ბერკეტი და არ დაუშვას თურქეთის ჩართვა კონფლიქტში“, — განაცხადა **ნიკოლ ფაშინიანმა**.

თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** სომხეთთან კონფლიქტში მხარი აზერბაიჯანს დაუჭირა. მისი თქმით, სომხეთმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას.

„თურქეთი დღეს, როგორც ყოველთვის, ყველა თავისი შესაძლებლობით, დგას თავის აზერბაიჯანელ ძმებთან. საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელსაც არ შეუძლია აუცილებელი, ადეკვატური რეაქცია გამოხატოს სომხეთის აგრესიაზე, კიდევ ერთხელ აჩვენა ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა. მინსკის ტრიო, რომელიც 30 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა თავის დაუდევარ პოზიციას, არ არის კონფლიქტის დარეგულირებისკენ ორიენტირებული“, — აღნიშნა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

* * *

„საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად მოვუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს, ცეცხლი შეწყვიტონ და მეტი დრო და ენერგია დაუთმონ მშვიდობას და დიალოგს“, — ევროსაბჭოს პრეზიდენტი **შარლ მიშელის** შეფასებით, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონიდან მომდინარე ინფორმაცია საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ.

„სამხედრო მოქმედებები სასწრაფოდ უნდა შეწყდეს შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. მოლაპარაკებების მდგომარეობაში სასწრაფო დაბრუნება, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ერთადერთი გამოსავალია“, — წერს შარლ მიშელი „ტვიტერის“ გვერდზე.

* * *

მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს ოფიციალური თბილისი. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის **ირაკლი სესიაშვილის** განცხადებით, საქართველო ყოველთვის მშვიდობის მხარეს იდგა.

„ჩვენი რეგიონის უსაფრთხოებისა და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო გარემოსთვის ძალიან სახიფათოა კონფლიქტი ჩვენს რეგიონში. ყარაბაღში გუშინ განვითარებული მოვლენები ჩვენი და საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. ცხადია, ჩვენ ყოველთვის ვიყავით მშვიდობის, სტაბილურობის მხარეს.

ცხადია, ჩვენი შესაბამისი სამსახურები პროცესს დააკვირდებიან, მოვლენებს გაანალიზებენ და თუ საჭირო იქნება ჩვენი თანადგომა მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის, ჩვენ ამისთვის მზად ვიქნებით“, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

* * *

საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ექსპერტის **თენგიზ ფხალაძის** განცხადებით, თუ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ყარაბაღში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება, ეს საქართველოსთვის აპოკალიფსური სცენარი იქნება. როგორც ექსპერტი აცხადებს, ახლა საჭიროა, საქართველოს ხელისუფლებამ განიხილოს მოვლენების განვითარების ყველა შესაძლო სცენარი და განსაზღვროს, რა იქნება მათი შემდეგი ნაბიჯი, მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობისას, არსებულ ვითარებაში. ამასთანავე, როგორც ფხალაძე აცხადებს, საქართველოს შეუძლია, შესთავაზოს დაპირისპირებულ მხარეებს ქვეყანა, როგორც მოლაპარაკების ადგილი.

„ყარაბაღის შეიარაღებულ დაპირისპირებას საქართველოზეც რომ ექნება უარყოფითი ზეგავლენა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ეს კონფლიქტი ეხება ჩვენს მეზობლებს და ჩვენს პარტნიორებს. ურთიერთობის დაძაბვა და კონფლიქტის ესკალაცია მხოლოდ და მხოლოდ ვნებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ყველა მიმართულებით.

ეს ეხება ჩვეულებრივ სამხედრო უსაფრთხოებას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ენერგო უსაფრთხოებას და სხვა. ორივე ქვეყანა არის ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი, რომელთანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები ვითარდება. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და თავისთავად, კონფლიქტი ამ ორ სახელმწიფოს შორის ვნებს ჩვენს ინტერესებს“.

* * *

ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** ვარაუდობს, რომ თუ კონფლიქტი რამდენიმე დღეში არ ამოიწურება და ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება, ნიშნავს, რომ მასში მთელი რეგიონი იქნება ჩათრეული, მათ შორის საქართველოც. მისი თქმით, კონფლიქტის გააქტიურება მსხვილი მოთამაშეების ინიციატივით ხდება.

„ძალიან მძიმე ვითარებაა. საერთოდ, კონფლიქტების განახლება ხელოვნურია ხოლმე, როდესაც გააქტიურდება პროცესი, რეგიონში მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეების ნებაზეა ეს დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ყარაბაღის კონფლიქტის ახლანდელი გააქტიურება და საომარ ფაზაში გადასვლა, მსხვილი მოთამაშეების ინიციატივით ხდება. აქ ჩანს თურქეთისა და რუსეთის ხელი და შეიძლება სხვისიც, მე აქ მტკიცებას ვერ დავიწყებ. ასეა თუ ისე, თუ ეს კონფლიქტი არ ამოიწურება რამდენიმე დღეში და ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება, ეს ნიშნავს იმას, რომ მთელი რეგიონი იქნება ჩათრეული ამ ომში, მათ შორის საქართველოც. ჰუმანიტარული და ეკონომიკური თვალსაზრისით, რეგიონს კატასტროფა ემუქრება“, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

მართა ლაბაძე

„ნატო“, ტრამპი და დასავლეთი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე გავლენას ვერ მოახდენენ...

გადაიზრდება თუ არა მთიან ყარაბაღში სამხედრო დაპირისპირება ფართომასშტაბიან ომში კავკასიის რეგიონში, დამოკიდებულია რუსეთსა და თურქეთზე, აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მოწოდებები ნაკლებად შეცვლის სიტუაციას, — ამის შესახებ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა **ირაკლი ალადაშვილმა** განაცხადა. მისი თქმით, თუ ეს ქვეყნები, რუსეთი და თურქეთი შეაჩერებენ მათ მოკავშირეებს, მაშინ თავიდან ავირიდებთ ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებას, მაგრამ თუ ისინი გადაწყვეტენ, კონფლიქტში თავიანთი ძალებით ჩაერთონ, მაშინ ეს დაპირისპირება უფრო გაღვივდება.

„მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების დაწყებიდან გავიდა დაახლოებით ერთი დღე-ღამე. საბრძოლო მოქმედებები საკმაოდ მაღალი ინტენსივობისაა და ბევრად აღემატება იმას, რაც ხდებოდა 12-15 ივნისს, საქართველოსთან ახლოს მდებარე რეგიონში.

გადაიზრდება თუ არა ეს ფართომასშტაბიან კონფლიქტად, დამოკიდებულია ისეთ დიდ მოთამაშეებზე, როგორიცაა რუსეთი და თურქეთი. თურქეთი, თუ აქამდე, 2016 წელს და უფრო ადრე, ასე ღიად არ უჭერდა მხარს აზერბაიჯანს, წელს უკვე პოლიტიკური მხარდაჭერა სახეზეა და სავარაუდოდ, სამხედრო მხარდაჭერაც არსებობს. თურქეთის პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა არაორაზროვანი განცხადებები გააკეთეს, რომ თურქეთი თავის აზერბაიჯანელ ძმებს მხარში დაუდგება. ამის დასტურია თუნდაც ერთი თვის წინანდელი ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში“ , — განაცხადა ირაკლი ალადაშვილმა.

რაც შეხება საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლო გავლენას პროცესებზე, ირაკლი ალადაშვილი აღნიშნავს, რომ ამ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა დაბალია.

„საერთაშორისო ორგანიზაციებს, სიმართლე გითხრათ, ამ რეგიონში დიდი გავლენა არა აქვთ, სომხეთი, ფაქტობრივად, მთლიანად მიბმულია რუსეთზე, რუსეთი კი, ცნობილია, როგორ იგნორირებას უკეთებს საერთაშორისო ორგანიზაციებს. აზერბაიჯანზე „ნატოს“ გავლენა თითქმის არ არსებობს, აქვს თურქეთთან სტრატეგიული პარტნიორობა და ასევე რუთეთთანაც ნორმალური ურთიერთობა. ამიტომაც, ამ ორ დიდ მოთამაშეზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი. ამერიკის შერთებულ შტატებს რაც შეეხება, დღეს როდესაც ტრამპი თავისი პრეზიდენტობის ბოლო დღეებს ითვლის, საეჭვოა, ამერიკამ, თავისი განცხადებებით დიდი გავლენა მოახდინოს პროცესებზე“, — აღნიშნავს ალადაშვილი.

შეგახსენებთ, მასშტაბური საბრძოლო მოქმედებები მთიან ყარაბაღსა და აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე 27 სექტემბერს, დილიდან დაიწყო. ვრცელდება ინფორმაცია ორივე მხრიდან ათობით დაღუპულისა და დაჭრილის შესახებ, როგორც სამხედროებს, ისე მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

გურამ გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა



ძველი დღიურიდან: 2 სექტემბერს დილით გიორგი ლეონიძემ მანქანიდან მომკრა თვალი და გააჩერა. კრიალოსანი ეჭირა, ქარვისფერი, სხვა დროს არ შემიმჩნევია. გვერდით ი. გრიშაშვილმა ჩაიარა, წიგნის მაღაზიაში შევიდა... გოგლამ ერთი ძველი ამბავი მოიგონა, სოსო „ქართულ წიგნში“ კორექტორად რომ მუშაობდა, ინგოროყვა ილიას ტომის რედაქტორი ყოფილა. რომელიღაც მასალა შეცდომით მიუწერია ილიასთვის. სოსოს სცოდნია. მერე რატომ არა თქვიო? გოგლას უკითხავს. აბა, მე კორექტორი უნდა ვიყვე და ეგ რედაქტორიო, მიუგია სოსოს... დღის მეორე ნახევარში თავის წერილს მოაკითხა კ. გამსახურდიამ. კორექტურა ჩაასწორა. ძალიან ცუდად, გაუგებრად. გალში მიუწვევიათ. მწერლობა ჟინის საქმეაო. მე კალამი ჩხუბმა ამაღებინაო... (1961 წ. 7.XI)

ძველი დღიურიდან: მე და ფოტოგრაფი დავით იაკობაშვილი კონსტანტინესთან ვიყავით, გამსახურდიასთან. ცოლის ჩუმად ღვინოში კონიაკი ჩაისხა. ბარონ მიუნჰაუზენსა ჰგავს...

პარიზში ჟან დორვილის გამოფენა იხსნება – „ქართული სურათები“. კონსტანტინეს მოსაწვევი ბარათი მიუღია. დღეს იყო რედაქციაში. მიჩვენა...

„სახელგამთან“ ბატონ კონსტანტინეს შევხვდი. რატომ დაგვივიწყეთ, ბატონო კონსტანტინე. მე კი არა, კომუნისტებმა დამივიწყეთო. არ ვიცი, რა იგულისხმა (1964 წ.).

ძველი დღიურიდან: გოგლამ თქვა: ინგოროყვას წიგნი „გრიგოლ მერჩულე“ საბოგადოების ისეთსავე ყურადღებას იქცევს, როგორც რომ ქუჩაში გავლილი სამმეტრიანი კაცი“ (1965 წ.)

ლიტერატურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი იყო დავით ჭინჭარაული, კარგი ფოლკლორისტი, უბინაო. გოგლა შეჰპირებოდა, ბინას ურიგოდ მოვაცემინებო, მაგაზე არ იდარდოო. ერთ დღესაც დავითი შესულა გოგლას კაბინეტში და მიუხარებია, მომილოცე, გიორგი ბატონო, ერთოთახიანი მომცეს, რიგმა მომიწიაო. რიგმა კი არა, კიდევ რა გინდა, შე მთიულო, შენა, დიდი დაუნახავი ვინმე ხარო, ლეონიძე არ ჩარეულიყო და ვნახავდი, რასაც მოგცემდნენო, გაუბრაზდა თურმე გოგლა და გადაკოცნა ახალგინამიღებული გახარებული თანამშრომელი. თანაც დაუყოლეებია, აბა, რა გეგონა, ეგრე იცის გოგლამაო. სიკეთის ჩადენას, სიყვარულისა არ იყოს, მალვა უნდაო...

ერთ-ერთი თანამშრომელი, მგონი, ვარიანელი, კარგა ხნის მანძილზე ეპატიჟებოდა გოგლას, ჩემს მშობლებს უნდა შეგახვედრო ვარიანშიო. გოგლამ რამდენჯერმე გადაუდო თურმე. ერთხელაც, ის თანამშრომელი კიდევ რომ მისულა თხოვნით, გოგლას ჩაუცინია და უთქვამს, ვარიანი ძალიან მიყვარს, ჩვენი დიდი იაკობის სამშობლოა, გოგებაშვილისაო, მაგრამ ჯერ ერთი შორია, მეორეც, რამდენი ბენზინი უნდა დავხარჯო იქით-აქეთო. მგონი, აჯობებს, რაც იქ სუფრა უნდა გაშალოთ და დაიხარჯოთ, ერთ დღესაც ადექი და აქ ჩამოიტანეო, მთელი ინსტიტუტი ვაქეიფოთო. ის თანამშრომელი ასეც მოქცეულა და მთელი ინსტიტუტი მადლიერი იყო, რამდენიმე დღე სულ ქეიფში გავატარეთო... ვარიანში იშვიათი თავკვერი სცოდნიათო...

იმხანად ჩვენს რედაქციაში მუშაობდა, ლიტერატურის განყოფილებაში, ვარლამ ჟურული, ღარიბი პოეტი, აკი თავადვე წერდა, **ჩემი ქონება ჭიანჭველას ეყოფა ტვირთადო!** თავისი გვარი რეშეტნიკოვი იყო. არ ვიცი, ვინ შეთხზა, მაგრამ ასეთი ფუნაგორია იყო:

„რუსთან დაწვა გურულიო,
გამოვიდა ჟურულიო“.

მთელი ცხოვრება სმაში ჰქონდა გატარებული. რედაქტორმა დავით მჭედლიშვილმა იმ პირობით აიყვანა, რომ სასმელს საერთოდ აღარ გაეკარებოდა, რაც ძალიან გაუჭირდა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მიეჩვია. დღესაც, ალბათ, ბევრს ახსოვს ვარლამის სტრიქონები:

„მაშ, დამისხით კარდენახი შავი,
ეგეგ თეთრად გავათენო ღამე“...

ვარლამი ძირითადად მკითხველთა შემოსულ ლექსებს მიმოიხილავდა. კარგს დასაბეჭდად ამზადებდა, საშუალო ლექსებს საერთო მიმოხილვაში „უჩენდა ადგილს“...

1961 წლის აპრილია, კოსმოსში გაგარინის გაფრენის თვე. ფოსტას ტომრობით მოჰქონდა მკითხველთა ლექსები. ვარლამმა ვრცელი მიმოხილვა მოიტანა. ზედდატანებაზედ რედაქციაში გიორგი ლეონიძეც მოვიდა და ვარლამთან ერთად რედაქტორთან შევედით. მჭედლიშვილმა ბოდიში მოუხადა გოგოლას, ნომრის მასალაა, ახლავე წავიკითხავ და მერე დავილაპარაკოთო. დაიწყო კითხვა და უცებ გაფითრებულმა შესძახა, ეს რა დაგიწერია, შე კაი კაცო, გინდა რომ პარტიიდან გამრიცხონო? თვითონ ვარლამი უპარტიო იყო. რა არის, მაგისთანა რა ლექსიაო? – გოგლამ. დავითმა ხმააკანკალებულმა წაიკითხა:

„რა კარგი დილა გათენდა,
მზემ სხივები დააფინაო,
ისე არვის უფრენია,
პარტიამ რომ გააფრინაო“.

უყურე შენ, ეგ გურიიდან იქნება გამოგზავნილიო, გოგლამ, გურულებს უყვართ პოლიტიკაო. ლექსის ავტორი მართლაც იმ სოფლიდან იყო, სადაც ვარლამს ბავშვობა ჰქონდა დედასთან ერთად გატარებული.

ვარლამმა თავის დაცვა დაიწყო, ბატონო დავით, აბა პარტიას რომ არ გაეფრინა, გაგარინს მაგის ფული სადა ჰქონდაო. პარტიამ კი არა, შენ გააფრინეო, გაუბრაზდა მჭედლიშვილი. რას იზამ, დავით, ეგრეა, პოეტები, ჩემ გარდა, ყველანი ცოტას აფრენენო, გოგლამ **„მშვიდობის მანდილი“** მოიმარჯვა დასაზავებლად. მერეც, როცა რედაქციაში მოდიოდა, ყოველთვის ღიმილით იგონებდა, სად არის ჟურული, პარტიას რომ გააფრენინაო...

ძველი დღიურიდან: ჟურული აუტყდა ნონეშვილს და ვერის ბაზარში ხილი აყიდინა. ჟურული, ცოტა არ იყოს, გაწუწკდა, მგონი, რაც აღარა სვამს... (6.IX, 1961 წ.)

ეს კარლო კალაძე ხომ იცი, რა ხუმარა ვინც არისო, თქვა ერთხელ გოგლამ. მგონი, ჩემი თავმჯდომარეობის დროს, ხმა დაეგდო, მწერალთა კავშირში თითო-თითო პრეზერვატივსა და თითო-თითოსაც ვიაგრას არიგებენო, და ეგრევე რიგი დადგა. ყველაზე მეტს ხნიერი მწერლები გნიასობდნენ, თითო-თითო რა წუწურაქობაა, სამ-სამი მაინც დაერიგებინათო...

ძველი დღიურიდან: იმ დღეს ვიქტორ გაბესკირია ამბობდა, თქვენი გაზეთი კარგ სუფრასა ჰგავს, სულითა და გულით გაშლილსო (იმ ნომერში თვითონ ვიქტორის წერილია გიორგი ლეონიძეზე დაბეჭდილი)... რედაქტორს, დავით მჭედლიშვილს, ბუნებრივია, ესიამოვნა ქათინაური და თქვა გოგლას თანდასწრებით: რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ყველაზე მეტად მზარეულობა მეხერხებაო... რომ დაბერდები, დადექი და იმზარეულეო. ჩაქაფულისთვის მაინც გიუდებიო და... გადაიხარხარა გოგლამ.

ძველი დღიურიდან: დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მხარეს ემსახურებოდა ჩვენი უდავოდ ნიჭიერი კორესპონდენტი აბიბო თომაძე, რომელმაც თრიალეთელ მეცხვარეებზე დაწერილ ერთ-ერთ ნარკვევში ასეთი რამ მოკალმა: ვინა თქვა, საქართველო პატარა ქვეყანააო, აბა, გააბრტყელეთ ჩვენი მთები, იტყვით, ეს რამხელა მიწა-წყალი გვქონიაო. გოგლას ძალიან მოსწონებოდა ეს ფრაზა და საგანგებოდ დარეკა რედაქციაში, აბიბო რომ ჩამოვა, უთხარით, მნახოსო. აბიბო ჩამოვიდა, ნახა გოგლა და გახარებული იყო საყვარელ პოეტთან შეხვედრით. თუ იცი, თრიალეთი რატომ ჰქვია მაგ მთასო? უკითხავს გოგლას. აბიბო დაბნეულა, რაც არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვაო, და ისევ თვითონ ამიხსნაო: ცხვრის ფარა რომ გაიდილავებს, თრიალი გააქვსო. თრიალეთი დიახაც ცხვრის თრიალიდან წარმოდგებაო.

ერთხელ, რედაქციაში სტუმრობისას, მითხრა და მერეც ხშირად მეუბნებოდა, რა იცი, ბიჭო, ცხოვრებაში რა ხდება, ზოგმა წერა ხეირიანად არც იცის და მაინც კანდიდატი ხდებაო. შენ სულ გაზეთში ხომ არ უნდა იყვე, დაიცავი დისერტაციაო, და თემაც მომცა **„ნიკო ლომურის ცხოვრება და შემოქმედება“**, ის კი არა, ხელმძღვანელიც დამინიშნა, თავისი მოადგილე, ღვთისნიერი გრიგოლ კაკიაშვილი. რახან „ქაჯანას“ ავტორი „მეცოტავა“, მერე ქალბატონ ქსენია სიხარულიძეს სთხოვა, ფრიად უსათნოეს ადამიანს, და იმან **„ქართული გამოცანა და ანდაზა“** მომცა თემად. მაგრამ მე თავად ვერ ვივარგე, უფრო სწორად, გაზეთის ჯადოსნურ წრეს ვერ დავაღწიე თავი.

საერთოდ, გოგლა გამორჩეულად ექცეოდა ახალგაზრდებს, ბევრმა ძვირფასი საქმე მოახელკეთილა, რაკი არ დაიზარა და ფურცელს გაანდო გულთმისან პოეტთან არაერთი შეხვედრის ძვირფასი წუთები... გერმანიაში გათხოვილი თავისი ქალიშვილის გამო საქართველოს მოწყვეტილმა და ამჟამად შორეულ გერმანიის მიწას მიბარებულმა მედეა კახიძემ ამ მხრივ ძვირფასი ჩანაწერი დაგვიტოვა: ლომის ბუბუნა ხმა, გასხივოსნებული თვალები, დამამაგნიტებელი მზერა, ჩაქვიტკირებული მკლავ-მაჯა, უთორუაბჯარო რკინა-მკვნეტელა მეციხოვნე – ასეთი დამამახსოვრდა „ილიაობაზე“ ყვარელში ჩამოსული გიორგი ლეონიძეო... (იმ „ილიაობაზე“ მეც ვიყავი გოგლასთან ერთად. წამოსვლისას მასპინძლებმა ოცლიტრიანი ქინძმარაულიანი ბოცა მოართვეს მგოსანს. ამ ჭაბუკსაც თუ არ გაასინჯეთ თქვენი ქინძმარაული, მაშინ ჩემი ბოცა უნდა ვუთავაზოო, გოგლამ; ამის თქმა იყო და ჩემს სახელზეც ათლიტრიანი ბოცა ჩადგეს მანქანის საბარგულში). მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილ საკვირაო ექსკურსიაზე, – განაგრძობს თხრობას მედეა, – ჩვენ გვერდიგვერდ იჯდა სიცოცხლის წყურვილ-დაუწრეტელიო; გზნებით უვლიდა სამცხეს, ქვემო ქართლსა თუ საკახეთოს. დიდგორის მთაზე შეგვიყვანა და შეუცდომლად მიგვანიშნა, სად შეიძლებოდა უკან დასახევი გზის ჩახერგვა და სად იყო მოსალოდნელი გადამწყვეტი ბრძოლის გადახდაო... დიდი ხნის მერე, გენერალ ირაკლი ჯორჯაძის (საბუელი იყო) წიგნში ისევე იყო ბრძოლის ადგილი შემოხაზული, როგორც

1961 წელი. პატარძეული. შეხვედრა უკრაინელ მირგოროდელ მზრუმელებთან

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115-117, 118

პოეტმა გრძანაო. საშემოდგომოდ გადახაზულ ხოდაბუნებში მან შემამჩნევინა შიგადაშიგ ამოწვერილი ცისფერი ტიტეგიო. მისი ხელით მოკრეფილი იეგიც მიგვიღიაო უჯარმის ნანგრევებთან მე და ნაზი კილასონიას და იმისი ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსანიც“ დღემდე მაქვს შემონახულიო... ჩემს ლალაობას სიცოცხლის ბოლომდე არ მორჩომილა, წიგნის დასასტამბავად ჩემი სახოტბო წერილიც მიუწერია გამომცემლობის დირექტორისთვის და კათედრიდან სიტყვაც შეუწევიაო...

აქ უთუოდ უნდა ითქვას ერთი რამ. მედეა კახიძე და შოთა ნიშნიანიძე ერთად სწავლობდნენ მოსკოვში ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც რუსი პოეტი მიხეილ სვეტლოვი იყო ერთ-ერთი ლექტორი, იმას უთქვამს, ჩემი ცოლი – როდამ ამირეჯიბი, შტატებში მიდის თავის ბიძასთან შალვა ამირეჯიბთან შესახვედრად და რომ დაბრუნდება, შალვას ერთ-ერთ უცნობ, ძვირფას ხელნაწერს ჩამოიტანსო. მაგრამ მედიკოც და შოთაც ისე წამოსულან მოსკოვიდან, რომ როდამი ჯერ დაბრუნებული არ ყოფილა, ვერც ის გაუგიათ, რა ხელნაწერი ჩამოუტანია როდამს. როცა კი ვეკითხებოდი, ორივენი ადასტურებდნენ ამ ამბავს, თუმცა დასძენდნენ ხოლმე, ჭაბუას ეცოდინება, იმას ვკითხოთ, რა ხელნაწერი იყოო...

ბევრმა არ იცის, რომ ფრიდონ ხალვაში ადრე „ხემიდი“ იყო, თვითონ, ახლა უკვე ფრიდონი, ასე იგონებს „ქართულად მონათვლის“ ამბავს: 1952 წელსო, მწერალთა კავშირის კაბინეტში გიორგი ლეონიძესთან შეხვედრის მერეო მე ახალი სახელით მოვევლინე ქვეყანასო... იმხანად „მნათობში“, რომელსაც ირაკლი აბაშიძე რედაქტორობდა, ერთი ჩემი პატარა პოემა იბეჭდებოდაო. ანაწყობის ანაბეჭდი მივიტანე, ბატონ გიორგის მივახარეო, „ხემიდ ხალვაში“ წაიკითხა. ფურცელი მაგიდაზე დადო, რაღაცა არ მოეწონაო. ამ დროს ოთახში სხვა მწერლებიც შემოვიდნენო.

– ხემიდი!.. ხომ იცით, სულთან ხემიდის დროს რაც დამართნია საქართველოს? ქართველ პოეტს ასეთი სახელი?.. – თქვა და შემოსულებისკენ მიბრუნდაო...

– მერე თქვენ აგერ გრძანდებით, ბატონო გიორგი, იყავით ჩემი ნათლიაო, – უთქვამს მაშინ ჯერ კიდევ ხემიდს.

გოგლა ამდგარა, ფანჯარაში გაუხედავს, რამდენიმე ძველი ქართული სახელი უხსენებია. შემოსულთაგან ერთ-ერთს მოულოდნელად, ფრიდონიო, – შეუთავაზებია. გოგლა ყაბულქმნილა. სახელი ფრიდონი მოსწონებია. „ვეფხისტყაოსანის“ ფრიდონი ზღვისპირის მეფე იყოო. მეგობრობაც იცოდა, კარგი მასპინძლობაცო. შენც ჩვენი ზღვისპირეთი უნდა ჩაიბარეო. საშენო სახელიაო. მაშ, ამ შენს პოემას ფრიდონი დაეწერებაო, – გრძანა გოგლამ და ასეც მოხდაო... იმ დღეს უკვე მეორედ დავიბადე ფრიდონ ხალვაშადო, – იგონებს სახელგადარქმეული ძველი ხემიდი...

როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი 1958 წელს დავამთავრე, ოღონდ ჯერ კიდე 1957 წლიდან დავიწყე მუშაობა გაზეთ „კომუნისტში“. ცოტა ხანს სამუშაოს ეძებდა ჩემი თანაკურსელი, დასტურ ლიტერატორად დაბადებული გიორგი გაჩეჩილაძე. ჩვენ იმ ხნიდან განუყრელი მეგობრები ვართ, იქნებ ძმებიც. ერთხელაც ბატონ გიორგის შევბედე, მაშინ შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს, გიორგი ბატონო, არის ასეთი და ასეთი ლიტერატურისმცოდნე გიორგი გაჩეჩილაძე, მგონი, რომ თქვენს ინსტიტუტს დაამშვენებსმეთქი. ეგა, კაცო, სიმონ წეველის ბიჭი ხო არ არისო, ჩვენ, მართალია, მეგობრები არა ვყოფილვართ, მაგრამ სანამ პოეტობდა, მეცნიერების გზაზე შედგომამდე, კარგი ამხანაგური ურთიერთობა გვქონდაო. მერე ისიც გაიხსენა, „რწყილი და ჭიანჭველა“ მაგის გალექსილიაო. ერთი სიტყვით, გოგლას მოეწონა გიორგი და იმანაც გაუმართლა იმედები.

მალე გიორგიმ ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა ჩვენი გაზეთისთვის, რაც მერე მხოლოდ „საისტორიო მოამბეში“ დაიბეჭდა. მგონი, ჟურნალ „ცისკრის“ 1966 წლის პირველ ნომერშიც, მაგრამ გიორგი გაჩეჩილაძის გვარ-სახელი რატომღაც მითითებული არ არის... მკითხველისთვის „უპატრონო“ მასალად არის მიწოდებული. გიორგი დღესაც ამაყობს დიდ პოეტთან და დიდსავე სწავლულთან ახლოს ყოფნით. მგონი, რომ მოგონების დაწერასაც აპირებს...

– რა მიგაჩნიათ ადამიანის ბედნიერებად? – ეკითხება გოგლას გიორგი გაჩეჩილაძე ზემოხსენებულ ინტერვიუში.

– საკუთარი შრომისა და მიღწევის სიხარული, – უპასუხებია გოგლას, – რაც მთავარია სიყვარული, ურომლისოდაც შეუძლებელია რისამე მიღწევა.

– რას თვლით ქართველი კაცის საუკეთესო თვისებად?

– საყოველთაოდ ცნობილია ქართველი კაცის გმირული, რაინდული თვისება. ეს სწორია, მაგრამ ბევრს ავიწყდება ქართველი კაცის დიდი შრომისმოყვარეობა. ჩვენი განვლილი ისტორია, ჩვენი კულტურის მონაპოვარი, ჩვენი კულტურის ძეგლები ამტკიცებენ, რამდენი შრომა, ენერგია დაუხარჯავს ჩვენს მცირერიცხოვანს და არა პატარა ერს...

– მაინც როგორი ხასიათის პოეტი გიყვართ?

– ძნელია თქმა. პოეზიაში ზოგი სმენის მხატვარია, ზოგი თვალის მხატვარი. ჩემთვის ყველა საყვარელია, ვინც კი ებრძვის თავისი შემოქმედებით ბნელ სტიქიას, თუკი იგი თავისი გულის ნათქვამს გადმოსცემს. პოეზია ხომ გულის ამონათქვამია...

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ეჰ, ცოდვილო აფხაზეთო, შენი კონსტიტუცია რუსისთვის ფარატინა ქაღალდია!

რატომ იქცევიან რუსი სამხედროები ისე, თითქოს აფხაზური მიწა-წყლის მეპატრონეები იყვნენ?!

სახელმწიფოს ძირითადი კანონი, აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი ნორმატიული სამართლებრივი აქტი მოქალაქეებს სხვადასხვა უფლებებსა და თავისუფლებებს ანიჭებს. ეს მრავალგვერდიანი დოკუმენტი, კანონის წინაშე თანასწორობის გარდა, ადამიანს სიცოცხლის, თავისუფლების, ხელშეუხებლობისა და ბევრი სხვა რამის უფლების გარანტიას აძლევს. მაგალითად, აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-16 მუხლი – გადაადგილების თავისუფლებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას. დოკუმენტის თანახმად, აფხაზეთის ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდეს რესპუბლიკის მასშტაბით. მაგრამ რეალობაში ყველაფერი აფხაზეთის კონსტიტუციით გამყარებული ნორმების საწინააღმდეგოდ ხდება.

შემიძლია, მოვიყვანო არაერთი მაგალითი. რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის მოქალაქეები პირველად წააწყდნენ ზოგიერთ სოფელში შესვლის აკრძალვას და დაუბრკოლებელ გადაადგილებას მათ რუსი სამხედროები უზღუდავდნენ. ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ საუბარია არა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე, არამედ ადგილობრივთა ჩვეულებრივ დასახლებებზე, რომლისკენაც გზას რუსული სახელმწიფოს სამხედროები ღობავენ.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ კოდორის ხეობაში შესასვლელს აფხაზური სპეცსამსახურების წარმომადგენლები აკონტროლებდნენ. იქ საკონტროლო-გამშვები პუნქტი იყო მოწყობილი, რომელიც ყოველ წელს ექვემდებარებოდა მოდერნიზებას და რამდენიმე წელიწადში სრულფასოვან ბლოკ-საგუშაგოდ გადაიქცა. ტერიტორიაზე მოხვედრა მხოლოდ აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ნებართვით იყო შესაძლებელი, რომელიც ხანგრძლივი შემოწმების შემდეგ საშვს გასცემდა. ახლა კი იქ რუსი სახმედროები დგანან და ხეობის ტერიტორიაზე მოხვედრა ძალზე რთულია, რიგითი მოქალაქისთვის კი – შეუძლებელი. საშვებს კვლავინდებურად აფხაზეთის უშიშროება გასცემს, მაგრამ შემოწმებას უკვე რუსი სპეციალისტები ახორციელებენ და სწორედ ისინი წყვეტენ, ვინ შეიძლება, შეადგას კოდორის ნაკრძალში ფეხი, ვინ – არა.

დაახლოებით იგივე სიტუაციიაა გალის რაიონშიც. უბრალოდ, იქ ბლოკ-საგუშაგოები მიტოვებულ ავტოგაჩერებებს უფრო ჰგავს, საიდანაც მოულოდნელად ჩნდებიან კამუფლაჟში გამოწყობილი პირები ავტომატებით. ისინი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოითხოვენ მანქანებში მყოფი პირებისა და ქვეითებისგან პასპორტს. და თუ ოჯახის რომელიმე წევრს იგი სახლში დარჩა, მანქანიდან ჩაჰყავთ. გარდა ამისა, ისინი გულდასმით ჩხრეკენ მანქანებს, ბარგს და ხელჩანთებსაც კი. ამ შეზღუდვებისა და დაბრკოლებების მიზეზს მათთან ვერ გაარკვევთ, ხოლო თუ ზედმეტად დაჟინებული იქნებით, რუსი სამხედროები დამხმარე ძალას იძახებენ, რომელიც გაურკვეველი მიმართულებით გადაგიყვანთ. ამიტომაც ადამიანები, რომლებსაც მსგავსი შემთხვევები ჰქონიათ, როგორც წესი, დუმილს ამჯობინებენ, ეშინიათ რა სასჯელის, რომელიც ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში ელით.

მსგავსი ვითარებაა აფხაზეთის არაერთ სხვა რაიონშიც, სადაც რუსი სამხედროები ისე იქცევიან, როგორც აფხაზური მიწების მფლობელები. და მათ ვერავის დაასჯევინებთ. თუ მაინც გადაწყვეტთ, მათ თვითნებობას შეეწინააღმდეგოთ და საქმეში საკმაოდ სერიოზულ ხალხსა და ორგანიზაციებს ჩართავთ, თქვენ გაგიშვებენ. თუმცა მხოლოდ ცოტა ხნით. იმ მომენტიდან რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დაჟინებული ყურადღების ქვეშ იქნებით აფხაზეთის ნებისმიერ წერტილში.

„როდესაც პირველად შევეჩეხე რუს სამხედროებს, რომლებიც პასპორტს ითხოვდნენ, ცოტა არ იყოს, გადავირიე. ეს როგორ უნდა გავიგოთ? დასთან მივდივარ სტუმრად, ვარ აფხაზეთის მოქალაქე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მე კი მჩხრეკენ, როგორც დამნაშავეს?!“, – ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე აინარი. – **„არაფრით მესმოდა, რა უნდოდათ ჩემგან რუს სამხედროებს. არც ერთმა ჩემმა არგუმენტმა მსგავსი ქმედებების უკანონობის შესახებ არ გამოიღო შედეგი. იმის გამო, რომ პასპორტი არ წამოვიყოლე, სამხედროებმა არ გამატარეს და უკან – გაგრისკენ გამაბრუნეს. ვინ მისცა მათ უფლება, განმისაზღვრონ, სად წავიდე, სად – არა? ჩვენ რა, ახლა უპასპორტოდ ნაბიჯს ვეღარ გადავდგამთ? სამხედრო მდგომარეობა გვაქვს, თუ რა ხდება?“.**

ადგილობრივ ახალგაზრდა ქალს – სარიას კიდევ უფრო ნაკლებად გაუმართლა. წებელდის რაიონში რუს სამხედროებთან შეხვედრას იგი დღესაც კანკალით იხსენებს. იმ დღიდან უკვე რამდენიმე წელია გასული, თუმცა ყველაფერი ახსოვს – თითქოს გუშინ მომხდარიყოს. ქალმა 10 საათი გაატარა ერთ-ერთ უახლოეს სამხედრო ბაზაზე, საკანში, სადაც ის დაკავებისას სახლში გაშვების ზედმეტად დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადაიყვანეს. სოხუმის ბაზარში მიდიოდა საყიდლებზე და პასპორტი შინ დარჩა. უკან დაბრუნებისას შეეჩეხა სამხედროებს, რომლებიც რაიონს აკონტროლებდნენ. ბევრ მათგანს იცნობდა, რადგან ადრე არაერთხელ ჰქონია მათთან კონტაქტი. თუმცა ეს არაფერში არ დაეხმარა. **„მთელი საათი ვუხსნიდი მათ, მაგრამ სულ არ აინტერესებდათ. მომთხოვეს, ტერიტორია დამეტოვებინა, რადგან უპასპორტოდ სახლში დაბრუნების ნებას ვერ დამრთავდნენ“,** – ყვება ახალგაზრდა ქალი. შინ ორი მცირეწლოვანი შვილი და მოხუცი ბებია ელოდნენ, რომლებიც ვერ შეძლებდნენ, პასპორტი ბლოკ-საგუშაგოზე მიეწოდებინათ. **„შევთავაზე, ჩანთები იქ დამეტოვებინა და პასპორტის მისატანად შინ გავეშვი, მაგრამ არც ამაზე დამთანხმდნენ. როცა წყობილებიდან გამოვედი და მათი მოთხოვნის შესრულებაზე უარი განვაცხადე, დამატებითი ძალა გამოიძახეს. რაც შემდეგ მოხდა, მანამდე მხოლოდ ფილმებში მინახავს: მოვარდა მანქანა, გადმოცვივდნენ შეიარაღებული სამხედროები, თავზე რაღაც ჩამომაცვეს და მანქანაში ჩამტენეს. ეს რაღაც თავიდან მხოლოდ ოთახში მომხსნეს, რომელშიც სკამი, მაგიდა და კასრი იდგა – როგორც მივხვდი, ტუალეტის ფუნქციას ასრულებდა“,** – იხსენებს ახალგაზრდა ქალი. ამ ოთახში მან 10 საათი გაატარა, რის შემდეგაც თავზე ისევ რაღაც ჩამოაცვეს და წებელდაში დააბრუნეს. გაშვების წინ გააფრთხილეს, უპასპორტოდ აღარ ევლო, „თორემ ასე ადვილად ფონს ვეღარ გავიდოდა“.

სხვადასხვა სოფლების მცხოვრებლებთან გასაუბრების შემთხვევაში უამრავ მსგავს ისტორიას მოისმენთ. თუმცა არანაირ ოფიციალურ განცხადებებს ისინი არ გააკეთებენ და თხოვნით არავისთვის მიუმართავთ. კითხვაზე, რატომ, ჩვენი რესპონდენტები გვიხსნიან, რომ ჩივილს აზრი არა აქვს. აფხაზეთის ხელისუფლება ვერას გახდება, რადგან სოფლების უმრავლესობა ხარკად ჩააბარა რუს სამხედროებს, რომლებიც იქ საკუთარ წესებს ამყარებენ.

„ისინი არიან აქ ბატონ-პატრონები. ჩვენს გამო მათთან ურთიერთობას არავინ გაიფუჭებს, – ამას დიდი ხანია, მივხვდი. ჰოდა, ვცხოვრობთ ასე, – ვცდილობთ, რუს სამხედროებს თვალში არ მოვხვდეთ. ვინ იცის, კიდევ რა მოუვათ თავში, შემდეგ ჯერზე პასპორტის ნაცვლად შეიძლება, სხვა რაიმე დოკუმენტი მოგვთხოვონ და თუ არ გვექნება, მშვიდობით, სახლო, კარო, შვილებო, ოჯახო“, – ამბობს სარია.

ეს სტატია აფხაზეთის კონსტიტუციით დავიწყე, ძვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზენაესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით. მასში ამ დრომდეა დაცული აფხაზეთის მოქალაქეების ყველა უფლება და თავისუფლება. მაგრამ რეალობაში, რუს სამხედროებს აფხაზეთში მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე ძირითად კანონს, რომელსაც არა მარტო აფხაზეთის მოქალაქეები, არამედ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც უნდა იცავდნენ – თუნდაც იმ ძვეყნების, რომლებიც აფხაზეთს სამხედრო დახმარებას უწევენ.

როგორ უნდა აიხსნას ეს ვითარება, წარმოდგენა არ მაქვს. ჯერჯერობით ჩემთვის მხოლოდ ერთი რამაა ნათელი: ხელისუფლების მდუმარე თანხმობის პირობებში რუსი სამხედროები აფხაზეთის ტერიტორიაზე უკადრებელს კადრულობენ. მოსახლეობა ამას როგორც შეუძლია, ეწინააღმდეგება, თუმცა მისი ძალები შეზღუდულია.

სახელმწიფომ, რომელიც ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქეების უფლებები, უნდა დააშოშმინოს სტრატეგიული პარტნიორის სამხედროები იმის შეხსენებით, რომ აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა და ისინი მის ტერიტორიაზე ყოფნისას ვალდებულები არიან, მის კანონებს დაემორჩილონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაფერი შეიძლება, გადაიზარდოს კონფლიქტში, რომლისგანაც ყველაზე მეტად ისევ ადგილობრივები დაზარალდებიან, რომელთა ცხოვრება ისედაც შორსაა ადამიანურისგან.

ასტანდა ბგანბა

№ 120-121. სამშაბათი-ოთხშაბათი, 29-30 სექტემბერი, 2020 წელი.

ნობელის პრემიაც გაპოლიტიზირდა!

სადღაა მშვიდობა, სულთნათო ალფრედ!..



ამ სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ მსოფლიოს ყველაზე ცნობილ და პოპულარულ პრემიაზე, რომელიც უდიდესი მეცნიერის, ბიზნესმენის, მწერლის ალფრედ ნობელის სახელს ატარებს. მისმა ცხოვრებამ სიმარტოვესა და წვალებაში გაიარა, თუმცა ადამიანთა უმრავლესობა მას უყურებდა არა როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, არამედ, როგორც მდიდარ და წარმატებულ მეწარმეს.

სან-რემოს სახლში, სადაც ის მომსახურე პერსონალთან ერთად ცხოვრობდა, ტვინში სისხლი ჩაექცა და ლაპარაკის უნარი დაკარგა. ახლო ნათესავებმა ჩასვლა ვერ მოასწრეს. მას მარტოობაში ამოხდა სული. სიცოცხლის ბოლოს მის გვერდით მხოლოდ მოსამსახურეები იყვნენ. დაკრძალვის ცერემონიალზე მღვდელმა ნათან სოდერბლომმა ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

„ყოველგვარი ქება-დიდება ახლა უკვე ამაოა, რადგან ამ კუბოში მწოლიარე ადამიანს ეს სიტყვები არ ესმის. სიკვდილისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანი მულტიმილიონერი იქნება თუ ქუჩაში მოხეტიალე მათხოვარი, გენიოსი თუ სულელი, როდესაც ფარდა ეშვება, ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ. სიკვდილის დროს, ისევე როგორც რელიგიაში, ნებისმიერი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია“.

ალფრედ ნობელი კარგად იყო გათვითცნობიერებული რელიგიაში, მას თავისებური ფილოსოფია ჰქონდა, რაც ნაწილობრივ, საკუთარი პიესის, „შურისძიების“ ერთ-ერთ გმირს ათქმევინა: **„ხალხს სინდისი და ღვთის შიში სტანჯავს. მე ასეთი რამ არასოდეს მომსვლია. ღმერთის არსებობაში ეჭვი სრულიად არ მეპარება, მაგრამ როდესაც ადამიანები მის მარადიულ სიმართლეზე საუბრობენ, სასაცილოდ არ მყოფნის. სასჯელის ფორმა, რომელსაც ჯოჯოხეთს უწოდებენ, არაჩვეულებრივი გამოგონებაა, რადგან ის მღვდლებს კაცობრიობის გაძარცვაში ეხმარება, მაგრამ მე ისინი ამ სისულელით ვერ გამაბრუებენ. ბუნებაში არ არსებობს არც მოწყალება, არც გასამრჯელო სათნოებისთვის და არც სასჯელი დანაშაულისთვის. ან უნდა შეჭამო, ან შეგჭამენ; ან უნდა აწამო, ან გაწამებენ. ღმერთი კი ისევე, როგორც სახელმწიფო, მხოლოდ უძლიერესს აჯილდოებს“.**

სიცოცხლის დასასრულის მოახლოებისთანავე ნობელი, სამეცნიერო შრომებთან ერთად, ანდერძის ჩამოყალიბებით იყო დაკავებული. მან ანდერძის რამდენიმე ვარიანტი შეადგინა, რომელთა წერის დროს გულწრფელად აღიარა: **„ალბათ არვის მოვენატრები. ძაღლი ბელაც კი არ ჩამოაგდებს ცრემლს, მაგრამ ის ყველაზე გულწრფელი მაინც იქნება, რადგან ჩემ მიერ დატოვებულ ქონებაზე თვალი არ უჭირავს“.**

ნობელმა საკმაო ქონება დაუტოვა ახლო ნათესავებს, ახლობლებს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნობელის ფონდს — პრემიის დაარსებისთვის.

ნობელმა დაწვრილებით შეიმუშავა ფონდის მუშაობის გეგმა — პრემიის გაცემის საქმეში. „ჩემი განსაკუთრებული სურვილია, რომ პრემია, რომელსაც ეს ფონდი გადასცემს, მიენიჭოს განსაკუთრებულად დამსახურებულ პიროვნებას, ისე, რომ ოდნავადაც არ იქნას გათვალისწინებული მისი ეროვნება ან სქესი. მშვიდობის პრემია უნდა გადაეცეს პიროვნებას, რომელმაც ყველაზე აქტიურად იმუშავა ხალხებს შორის მშვიდობის დამყარებისთვის, ჯარებისა და შეიარაღების შემცირებისთვის და მშვიდობის კონგრესების გავრცელებისთვის. მშვიდობის პრემიას ნორვეგიის პარლამენტი გადასცემს“.

ამ ანდერძიდან დღემდე, მსოფლიო, არაერთმა დიდმა და პატარა ომებმა მოიცვა — მილიონობით მსხვერპლით და ნგრევით, თუმცა საპატიო პრემიის კავალერთა წვლილი ომის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში ნაკლებშედეგიანი გამოდგა. არადა, მშვიდობის დარგში დაჯილდოებულ ნობელიანტთა რაოდენობა საგრძნობია, რაც თავისთავად იწვევს კითხვას — რაშია საქმე?

იქნებ დაჯილდოებულები ისეთი მასშტაბისანი არ არიან, პრემიის მოთხოვნები რომ დააკმაყოფილონ? იქნებ პრემიის გამცემნი ჯეროვნად ვერ არჩევენ კანდიდატურებს? იქნებ კომისია არ მიჰყვება იმ გზას, რაც ალფრედ ნობელმა დასახა?

ამ კითხვათა მთავარი სამიზნე ლიტერატურისა და მშვიდობის დარგებია, ვინაიდან ეს ორი სფერო ცდება მეცნიერების ისეთ სპეციფიკურ თემებს, როგორებიცაა ფიზიკა, ქიმია, მედიცინა და სხვა. საყოველთაო მშვიდობისა და ლიტერატურის თემები ყველასთვის ხელმისაწვდომია და რახან ასეა, კრიტიკაც მრავალმხრივი და ძლიერია.

ნობელის პრემიის მიმნიჭებლებს — მიუკერძოებლებს და აპოლიტიკურებს, ბოლო წლებში სიტყვა „ვითომ“ დაემატა, ანუ „ვითომ აპოლიტიკური“, „ვითომ მიუკერძოებელი“. ეჭვი დაიბადა გეოგრაფიული ადგილმდებარეობისადმი ნობელის კომისიის მოჭარბებული ლოიალურობის მიმართაც. და არა მარტო... გეოპოლიტიკამ ხომ აშკარად გამოაჩინა თავისი თავი?!

თუ არა მიკერძოებას, რას შეიძლება მიეწეროს აშშ-ის პრეზიდენტებისთვის ნობელის პრემიის მინიჭება?

ისტორიას რომ არ ჩავუღრმავდეთ, მოვიყვანოთ პოლიტიკოს ობამას მაგალითი. საზოგადოებამ იცის — პოლიტიკური, მით უმეტეს პაციფისტური საქმეებით ნაკლებად ცნობილი ობამა, იღებს ნობელის პრემიას. პრეზიდენტობის კანდიდატობამდე მას არათუ მსოფლიო, აშშ-შიც არ იცნობდნენ. ის, მსოფლიომ წინასაარჩევნო, საპრეზიდენტო მარათონის დროს გაიცნო და გაიცნო არა საქმით, არამედ სიტყვით, დაპირებით.

მაინც რას დაჰპირდა ობამა ამერიკელ და მსოფლიოს ხალხებს ისეთს, სხვა პრეზიდენტობის კანდიდატები რომ არ დაჰპირებიან? არც არაფერს. მაშ, რამ გამოიწვია ნობელის კომისიის ობამას პიროვნებით მონუსხვა? იმან ხომ არა, აშშ-ში მობინადრე მდიდარი და ძლიერი ამა ქვეყნისანნი რომ ჰქვიათ და თავიანთ პოლიტიკურ გეგმებს თავს ახვევენ მსოფლიოს, ამ შემთხვევაში ნობელის კომისიას?

მაშინ მთელმა მსოფლიომ ნობელის კომისიას დაუსვა კითხვა, რომელსაც კომისიამ შესაბამისი პასუხი ვერ გასცა: პრემია გავეცით ავანსად, რითაც მომავალი პრეზიდენტი ავარიდეთ მის მიერ ომის გაჩაღებასო. ესე იგი ნობელის პრემია მიენიჭა აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტს, რომელსაც ინაუგურაციაც კი გავლილი არ ჰქონდა, რათა მას თავისი საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულების პერიოდში ომი არ გაეჩაღებინა.

ნობელის პრემიამ „დაჭედა“ ობამა? რომ იტყვიან, ნაწილობრივ, ვინაიდან მას პირადად, წინამორბედებისგან განსხვავებით, ომი არ დაუწყია, მაგრამ არც არაფერი დაუკლია საომარი კოზირის ხელში ფრიალისთვის.

პრეზიდენტ ობამას დროს განხორციელდა სირიის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ტერორისტული ორგანიზაციების ინტენსიური შეტევა; ლიბიის ლიდერის კადაფის წინააღმდეგ ნატოს ჯარების მისევა; კადაფის წამებით მოკვლა; ლიბიის ნგრევა და განადგურება; უკრაინაში კანონიერი ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების პროფასისტური პოლიტიკოსებისთვის გადაცემა; რუსეთის წინააღმდეგ უკრაინელთა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება. ყოველივე ამის უკან ობამა მოიაზრებოდა.

ობამამ დაიწყო ავღანეთში მყოფი აშშ-ის ჯარის შემცირება, მაგრამ, მიზეზთა გამო, დაპირების სრული შესრულება ვერ შეძლო. ერთი სიტყვით, პრეზიდენტმა ობამამ ვერ შეასრულა ნობელის პრემიის მოთხოვნები, თუმცა ამ ისტორიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ნორვეგიელ პარლამენტარებზე, რომლებმაც პრეზიდენტი ტრამპი ნობელის პრემიის კანდიდატად დაასახელეს.

ტრამპის შემთხვევაში უკეთ გვაქვს საქმე, ვიდრე ობამასი. მსოფლიომ 4 წელი უყურა ტრამპის თეთრ სახლში მოღვაწეობას. არაერთხელ მოისმინა ტრამპის განცხადება ავღანეთიდან ჯარის გამოყვანის თაობაზე და ა.შ. ისიც მოისმინა, თუ როგორ დაამარცხა მან ტერორიზმი სირიაში, ერაყში. მან გამარჯვება თავის თავზე მიიწერა, რაც არათუ გადაჭარბებულია, არამედ სიმართლეს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ მან რაღაც გააკეთა — უფრო მეტი, ობამას „არაფრის“ ფონზე, რაც თავისთავად ბადებს კითხვას — თუ ობამა დაჯილდოვდა, რატომ არ შეიძლება ტრამპის დაჯილდოება, მან ხომ ერთმანეთს შეარიგა ისრაელი და არაბული საამიროები, და ბახრეინი?

ობამას შემთხვევაში დაშვებული შეცდომა, რომელიც ამერიკის გარკვეული პოლიტიკური ძალების ზეგავლენით მოხდა, მეორდება. მართალია, ტრამპისთვის პრემია ჯერ არ მიუციათ, მაგრამ მისი წინასაარჩევნო კამპანიისთვის პრემიის მიღების კანდიდატად წარდგენამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ნახეთ, რა ჟღერადია — ნობელის პრემიაზე წარდგენილი დონალდ ტრამპი ებრძვის დემენციით შეპყრობილ 78 წლის დემოკრატ ბაიდენს.

მართალია, ტრამპსაც სოლიდური ასაკი აქვს, მაგრამ ალცჰაიმერის ნიშნები არ აწუხებს, ენერგიული და მოძრავია. დემოკრატიული პარტიის მესვეურებმა პრეზიდენტად ბაიდენის წარდგენით დაამტკიცეს თავიანთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება პრეზიდენტობის ინსტიტუტისადმი.

ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის, ადამიანისთვის, მით უმეტეს პრეზიდენტისთვის, ჯანმრთელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მენტალურ ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ბაიდენს პრობლემები აქვს, არადა, გამარჯვების შემთხვევაში მან 4 წელი უნდა იღვაწოს, რაც უდავოდ გაუჭირდება. ის, მენტალურად ისე არაკომფორტულად გრძნობს თავს, რომ დემოკრატები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან ორ კანდიდატს შორის დებატების გამართვის. შიშობენ, ბაიდენს არ ჩაეძინოს ან აზრი არ დაებნას.

უკრაინის მოვლენებმა, განსაკუთრებით კორუფციულმა მომენტებმა, რომელშიც ბაიდენის შვილი იყო ჩართული, სხვაგვარად გააცნო ბაიდენი ამერიკელ ხალხს, თუმცა კორუმპირებულობის ნეგატიურ ფონს მისი საპრეზიდენტო მარათონისთვის რაიმე საგრძნობი ზიანი არ მოუტანია. არადა, მსგავსს რომ სხვა ქვეყანაში ჰქონოდა ადგილი, მაგალითად რუსეთში, ამერიკული მედია და ექსპერტობა მხოლოდ ამ თემით იქნებოდა დაკავებული და საწადელსაც მიაღწევდა. მაგრამ ამერიკა სხვაა. მას სხვა შეხედულება აქვს კორუფციაზე. ქვეყანა, სადაც ლობისტობა კანონიერია, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლად არ გამოდგება.

ნობელის პრემიის კომისიას რომ გეოპოლიტიკური სიმპათიები გააჩნია, პრემირებულთა რაოდენობიდანაც ჩანს. ამერიკელ ნობელიანტთა რიცხვი უდავოდ აჭარბებს ერთად აღებულ სხვა ქვეყნების რაოდენობას, რაც თავისთავად ბადებს კითხვას — ჭკვიანი, გონიერი ადამიანები მხოლოდ ამერიკაში ცხოვრობენ?

მიკერძოების „სურნელი“ რომ არ დატრიალდეს დანარჩენ მსოფლიოში, ხანდახან, კანტიკუნტად, არაამერიკელიც გაახსენდებათ — მეტადრე ისინი, ვინც თავი გამოიჩინეს საკუთარი ქვეყნის ლანძღვა-გინებაში, დასავლეთისთვის მიუღებელი „არადემოკრატიული“ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს, თუმცა ზოგიერთის გახსენება არ გვაწყენდა: რუსი მწერლები პასტერნაკი და სოლჟენიცინი, ბელარუსი მწერალი ალექსეევიჩი, ჩინელი მწერალი მო იენი, რუსი პოლიტიკოსი გორბაჩოვი, ...ამ უკანასკნელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია არგუნეს საბჭოთა კავშირის დაშლისთვის.

ნობელის პრემიის ღირსად არ ჩათვალეს ფაშიზმისგან მსოფლიოს გადამრჩენელი და საყოველთაო მშვიდობის ფუძემდებელი სტალინი.

მშვიდობის განმტკიცებისთვის ნობელის პრემიაზე წარდგენილ აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპს კონკურენციას გაუწევს ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარის, პოლონელი ტუსკის „ჯილა“ სვეტლანა ტიხანოვსკაია — ბელარუსელი დიასახლისი, რომელმაც ამ ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და როგორც თვითონ ამბობს — გაიმარჯვა.

ტიხანოვსკაიამ, ბლოგერის და ოპოზიციონერი ტიხანოვსკის მეუღლემ, რომელიც ციხეში ზის, სახელი ბოლო 2 თვის განმავლობაში გაითქვა. და გაითქვა მეზობელ ლიტვაში გაქცევით, სადაც მას ყველა პირობა შეუქმნეს არჩევნებში გამარჯვებული ლუკაშენკოს ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად.

რუსული გამოთქმისა — „უთევზობაში, კიბორჩხალაც თევზიაო“ არ იყოს, დასავლეთის მეცადინეობით დიასახლისი უმალ იქცა ბელარუსის ოპოზიციის სიმბოლოდ, თანაც ისეთად, რომელსაც პრეზიდენტის შესაფერის შეხვედრას უწყობენ პოლონეთში, ლიტვაში, სხვა ქვეყნებში.

ტიხანოვსკაიამ მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროკავშირის ხელმძღვანელობას. ისინიც მას ისე ექცევიან, როგორც პრეზიდენტს. რას ნიშნავს ეს, თუ არა ბელარუსის საშინაო საქმეებში ჩარევას?!

ტუსკის მიერ ტიხანოვსკაიას და მისი მეუღლის ნობელის პრემიაზე წარსადგენად გახმაურება აშკარა მიმანიშნებელია ამ პრემიის პოლიტიზირებისა განსაკუთრებით მშვიდობის დარგში. გვიკვირს, მაგრამ გასაკვირი არაფერია, ვინაიდან ნობელის პერმიის კომისიის დამორჩილება, მსოფლიოს დამორჩილების ფონზე, დიდად გასაოცარი არ არის. ლამის სამოქალაქო ომში გაბმული აშშ-ის ადმინისტრაცია, შესაბამისი სამსახურები მაინც ახერხებენ საერთაშორისო ცხოვრებისთვის შეუფერებელი გადაწყვეტილებების მიღებას, რასაც ნობელის ნანატრი მშვიდობა არ მოჰყვება...

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„შენ ებრაელი ხომ არა ხარ, დანელია?!.“

ცოტა ხნის წინათ, ზაფხულის მიწურულს, ჩვენს გამოჩენილ თანამემამულეს, არაერთი არაჩვეულებრივი კინოფილმის რეჟისორს გიორგი დანელიას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი ამ ღირსშესანიშნავ თარიღამდე ერთი წლით ადრე, შარშან გარდაიცვალა, ჩვენ კი ორ ათეულამდე უაღრესად ღრმაშინაარსიანი, სიყვარულით გამთბარი და უზადო იუმორით გაჯერებული, ნახევრად სასაცილო, ნახევრადაც სატირალი კინოსურათი და კიდევ მეტად საგულისხმო მოგონებათა სამი ტომი დაგვიტოვა.

გიორგი დანელიას ბავშვობამ და ახალგაზრდობამ, ასე ვთქვათ, „უმაღლეს რანგის კინემატოგრაფისტთა“ გარემოში გაიარა: დეიდამისი სამამულო თეატრისა და კინოს მშვენება, დაუვიწყარი ვერიკო ანჯაფარიძე გახლდათ, ბიძა, დეიდის ქმარი – სახელოვანი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბავშვობიდანვე მას უშუალო შეხება ჰქონდა ქართული და საბჭოური კინემატოგრაფისა და თეატრის კორიფეებთან. თუმცა კი, ასეთი დიდებული გარემოცვის მიუხედავად, რეჟისორად გახდომას ახალგაზრდა გიორგი დანელია არც ფიქრობდა. მან უფრო მამის კვალს გაყოლა – ინჟინრობა აირჩია და არქიტექტორობა ამჯობინა, მისი საასპარეზო კი ახალი ქალაქების დაპროექტება გახლდა.



როგორც თავად ბატონი გიორგი იხსენებდა, ყველაფერი ერთმა შემთხვევამ შეცვალა: ერთხელ, მეგობართან ერთად მან ქუჩაში ინტელიგენტური იერის მქონე უგონოდ მთვრალი კაცი ნახა, რომელიც ტროტუარზე ეგდო. ოდნავ აზრზე მოსულმა ამ „ჯიგარმა“ მეგობრებს „აუხსნა“, რომ სრულიად ფხიზელია და უბრალოდ, მხარ-თეძოზე წამოწოლა და... გაზეთის წაკითხვა მოისურვა, რის დასტურადაც ჯიბიდან გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა“ „დააძრო“... ჰოდა, იმ გაზეთის სწორედ ამ ნომერში ბატონმა გიორგიმ შენიშნა განცხადება, რომ კინოსტუდია „მოსფილმი“ უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე მსმენელთა მიღებას აცხადებდა, მსურველებს კი რომელიმე სხვა სპეციალობით უმაღლესი განათლება უნდა ჰქონოდათ. სპეციალობა „არქიტექტურა“ ზუსტად „ჯდებოდა“ ამ მოთხოვნაში, თანაც მნიშვნელოვანი გარემოება ისიც იყო, რომ „მოსფილმის“ სარეჟისორო კურსებზე სტიპენდია... 30 რუბლით მეტი იყო, ვიდრე ახალგაზრდა ინჟინრის ხელფასი...

თუკი გიორგი დანელიას საუკეთესო კინოფილმების ჩამონათვალს თარიღებისდა მიხედვით გადავხედავთ, ის ასეთი იქნება: „მე მივაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“ (1963), „ოცდაცამეტი“ (1965), „აფონია“ (1975), „მიმინო“ (1977), „შემოდგომის მარათონი“ (1979), „ქინ-ძა-ძა!“ (1985). პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი კი, რომელმაც კარლოვი ვარის (მაშინდელი ჩეხოსლოვაკია) კინოფესტივალზე გაიმარჯვა, „სერიოჟა“ იყო, რომელიც მან კინორეჟისორ იგორ ტალანკინთან ერთად გადაიღო. პირველი დამოუკიდებლად გადაღებული კინოფილმი კი „მე დავაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“ იყო.

ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე გიორგი დანელიას არაერთი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა, პირველი პრობლემები კი კომედია „ოცდაცამეტის“ გამო შეექმნა. ერთი შეხედვით, ეს ერთობ მიამიტური ფილმი, საბჭოთა სინამდვილის სარკასტულად დამხასიათებელი და მისი აბსურდული მხარეების წარმომსახველი გამოდგა. „ესაა საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკა“, – ცხარობდნენ ფუნქციონერები, დანელია კი პასუხობდა, რომ ესაა ჩინოსნური იდიოტიზმის მხილება.

„მიმინოდან“ კი ცენზურა სსრ კავშირის მთავარი კინემატოგრაფიული „ნათლიის“ ფილიპ ერმაშის „თამადობით“, ვალიკო მიზანდარის თელ-ავივში რეპატრირებულ ქართველ ებრაელთან საუბრის ეპიზოდის ამოჭრას მოითხოვდა, რასაც გიორგი დანელია, ცხადია, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. „გულახდილად მითხარი, დანელია, შენ ებრაელი ხომ არა ხარ?“ – უკითხავს ერმაშს. „რა ვიცი, თითქოს არა“, – ირონიულად უპასუხია დანელიას. „ჰოდა, აბა, რას ჩააცივდი ამ თელ-ავივის ეპიზოდს?“ – გაუკვირდა მთავარ „კინომაფიოზს“.

აქ ჩამოთვლილების გარდა, გიორგი დანელიას კიდევ არაერთი პროექტი „ჩაუძირეს“, თუმცა კი მათ არანაირი კომედიური დატვირთვა არ ჰქონიათ. ასე განუხორციელებელი დარჩა გოგოლის „მკვდარი სულების“, სტეინბეკის „ზამთარი ჩვენი განგაშისას“, დოსტოევსკის „დანაშაულისა და სასჯელის“ მიხედვით კინოფილმების გადაღების გეგმები. გარდა ამისა, მთელი ცხოვრების მანძილზე იგი ოცნებობდა ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ მიხედვით ფილმის გადაღებაზე...

ამ წინააღმდეგობებს გიორგი დანელია მეტად მტკივნეულად განიცდიდა, რის გამოც ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, 50 წლის კაცს, მისივე თქმით, „რაღაც ინფარქტის მსგავსი რამ მოუვიდა“, რასაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, კლინიკური სიკვდილი მოჰყვა – ექიმებმა ძლივს შეძლეს მისი გადარჩენა.

თუმცა კი, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას ისიც, რომ გიორგი დანელია სიძნელეებს არა მხოლოდ ცენზურის გამო აწყდებოდა... ტექნიკური თვალსაზრისით მისთვის ყველაზე რთული კინოფილმ „ქინ-ძა-ძას“ გადაღება გამოდგა, რომელიც უაღრესად არაკომფორტულ გარემოში – თურქმენეთის უდაბნოში მიმდინარეობდა, თანაც გამუდმებით რაღაც-რაღაცები ფუჭდებოდა, მოწყობილობა მწყობრიდან გამოდიოდა. ჯერ იყო და, საფრენი აპარატის – პეპელაცის – მაკეტი რკინიგზელებმა თურქმენიის მაგივრად... შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს, ხოლო როცა, რის ვაი-ვაგლახით, დანიშნულების ადგილამდე ჩააღწია, ხანძარი გაუჩნდა და აღსადგენი გახდა. მეორე დეკორაცია ქვიშის ქარიშხალმა დალეწა, მესამე მთვრალმა მძღოლმა დაამტვრია, მეოთხე კი სულაც აფეთქდა...

მსახიობების ტანსაცმელს ძველი კალსონებიდან, მფრინავთა კომბინეზონებიდან, მეზღვაურთა შარვლებიდან და სხვა მსგავსი რეკვიზიტებიდან კერავდნენ, თანაც ბევრ რამეს კინორეჟისორი საკუთარი ხელით აკეთებდა.

„ქინ-ძა-ძას!“ ბევრნი შედევრად მიიჩნევენ, თუმცა კი თავად გიორგი დანელია მისით ბოლომდე კმაყოფილი არ იყო. მისი აზრით, ფილმი ზედმეტად გაჭიანურებული გამოვიდა და საბოლოო ვარიანტი ნახევარი საათით შეამცირა. თუმცა, როგორც მას შემდეგ უთხრეს, ამის გამო გადამღები ჯგუფის წევრები – ეს კი ხუთი ათასი კაცი იყო! – გაცილებით ნაკლებ ფულს მიიღებდა, ამიტომაც მან ამოჭრილი ნაწილი უკანვე დააბრუნა, ბოლოს კი, სულაც „ქინ-ძა-ძას!“ ანიმაციური ვერსია გადაიღო...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მაკა გობრონიძის და ნანა გობრონიძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** მაკა გობრონიძე (პ/ნ 33001042738), თბილისი, ი. მეუნარგიას 71, ბინა 27;
ნანა გობრონიძე (პ/ნ 33001067980), ოზურგეთი, ს. ნატანები, 49-ე ქუჩა, სახლი 13
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, ს. ნატანები, 49-ე ქუჩა, სახლი 13 (საკადასტრო კოდი: 26.01.80.001https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11494.72 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 29 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 13 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67755220;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 677552
6. **მოვალე:** შპს „პრიმო პლიუსი“ (ს/ნ 405120140), თბილისი, რადიანის ქ. 21, ბინა 8;
მაკა გობრონიძე (პ/ნ 33001042738), თბილისი, ი. მეუნარგიას 71, ბინა 27;
ნანა გობრონიძე (პ/ნ 33001067980), ოზურგეთი, ს. ნატანები, 49-ე ქუჩა, სახლი 13;
ეკა გობრონიძე (პ/ნ 33001001249), თბილისი, რადიანის ქ. 21, ბინა 8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67755220; ლოტის ნომერი: 677552).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 13 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

საბავშვო ბაღები ფუნქციონირებას 12 ოქტომბერს განაახლებენ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შედეგ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ გარდა აჭარისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბავშვო ბაღები ფუნქციონირებას 12 ოქტომბერს განაახლებენ.

მგლების შემოსევა შიდა ქართლში

მტაცებლები ამჯერად სოფელ მოხისს დაესხნენ თავს. მგლებმა ადგილობრივი ფერმერის, მერაბ სოიტაშვილის ცხვრები დაგლიჯეს. მოსახლეობა შეშინებულია და ამბობს, რომ მტაცებელთა ჯგუფის თავდასხმები, მათ ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. მოსახლეობა მონადირეთა ჯგუფის გამოყოფას ითხოვს.

ტრაგედია გომში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომში 18 წლის ბიჭი საკუთარმა ხარმა იმსხვერპლა. სოფლის მცხოვრები კახა კაციაშვილი ამბობს, რომ ბიჭი გარდაცვლილი ნახეს, რომელსაც საკუთარი ხარი ბალახის საძოვრად მდინარის პირას, ჭალაში ჰყავდა ჩაყვანილი. სოფლის წარმომადგენელი ამბობს, რომ 18 წლის ბიჭი საქონელთან ერთად მარტო იყო წასული.

ადგილობრივების თქმით, ხარი თავისი გაზრდილი იყო და თოკითაც დაჰყავდა ახალგაზრდა მწყემსს.

◎ უშუალოდ პირველწყაროდან

თითქოს ემოციები ჩაცხრა, მაგრამ...

მოგეხსენებათ, სარაევოში საუკუნის წინათ მომხდარმა გასროლამ პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია. კაცობრიობის ისტორიას ჩახმახისთვის თითის სხვა მრავალი საბედისწერო გამოკვრაც ახსოვს, რომელსაც 16 სექტემბერს საქართველოს რაგბის კავშირთან ქვეყნის შვიდკაცას ნაკრების კაპიტან რამაზ ხარაზიშვილის დაჭრაც შეემატა.

მაინც, რა მოხდა 2 კვირის წინათ? – ალბათ, დღესაც აინტერესებს საზოგადოებას, რომელსაც სრული უფლება აქვს, სიმართლე გაიგოს. სოციალურ ქსელში დაზარალებულის მიერ გავრცელებული განცხადებიდან გულშემატკივარი კიდევ ბევრ რამეს შეიტყობს:

„მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე არანაირი ბრალი არ მიმიძღვის აღნიშნულ შემთხვევაში, გარედან ხალხი მაინც ძალიან არასასიამოვნოდ აღიქვამს ამ ფაქტს, რაც, თავის მხრივ, აზიანებს აქამდე თაობათა მიერ სიმწრითა და წვალებით მოტანილ სარაგბო რეპუტაციას.

რაც შეეხება კონკრეტულად მომხდარს: როგორც იცით, ვარ კლუბების საინიციატივო ჯგუფისა და კავშირის საკონსულტაციო საბჭოს წევრი, რომელიც სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა. იმ დღეს სრკ-ში მივდიოდი სამუშაო შეხვედრაზე, სადაც ვაპირებდით კოვიდსიტუაციის განხილვას და კლუბებისათვის ეროვნული ჩემპიონატის პროტოკოლის გაცნობას.

ამ დროს კართან დამხვდა რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ბესელია, რომელიც ბოლო დროს საერთოდ ჩამოშორებულია საქმიანობას და არც მანამდე გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით. მას და გამგეობის თავმჯდომარეს დაძაბული საუბარი ჰქონდათ, რა დროსაც დამიძახა, პროვოკაციული შეკითხვები დამისვა, აგრესიული იყო და როცა ჩემგან ადეკვატური პასუხები მიიღო და კონტრკითხვაზე ვეღარ მიპასუხა, ამოიღო იარაღი და ფეხებში 2-ჯერ მესროლა.

საბედნიეროდ, ძვალი არ დაზიანებულა, ოპერაციამაც მარტივად ჩაიარა და მალევე სახლში გადამიყვანეს წოლითი რეჟიმის დასაცავად. დიდი მადლობა ყველას, ვინც მომიკითხა და ყურადღება გამოიჩინა.

აღსანიშნავია, რომ სროლის დროს ხელში მეჭირა წყლის ბოთლი, ყავა და ვიყავი ზურგჩანთით. ამით იმის თქმა მინდა, რომ არანაირი დაპირისპირება და შეხლა-შემოხლა ჩვენს შორის არ მომხდარა. სანამ იარაღს ამოიღებდა და მესროდა, არც მანამდე მქონია მასთან დაპირისპირება და კავშირის არცერთ მოქმედ თუ ყოფილ ჩინოვნიკს არ დავპირისპირებივარ!!! ერთადერთი, რასაც ბოლო თვეებში ვაკეთებდი, იყო ის, რომ ვსაუბრობდით ფაქტებით გამყარებულ სიმართლეს!

რაგბის სამყაროში დაპირისპირება არსებობს და ეს დასახელებულმა ფაქტმაც დაამტკიცა. მე და საინიციატივო ჯგუფის, აგრეთვე თითქმის ყველა ქართული კლუბის წარმომადგენლებს, ვინც

სიმართლეს ვლაპარაკობთ, ვერც იარღით შეგვაშინებენ და ვერც სხვა რადიკალური ქმედებებით, მაგრამ საზოგადოების თვალში რეპუტაცია ნამდვილად გველახება და ჩვენი ყველაზე დიდი გულისტკივილი სწორედ ამით აიხსნება. ეს უარყოფითად იმოქმედებს რაგბით მომავალი თაობის დაინტერესებაზე და აუცილებლად სასწრაფოდაა გამოსასწორებელი.

ყველასათვის რომ ცნობილი და მარტივად გასაგები გახდეს, სარაგბო თემი ისევ ისეთია, როგორიც იყო და რითიც აქამდე ასე ვამაყობდით. უბრალოდ, აქ არიან, ერთ მხარეს, პატიოსანი და მშრომელი მოთამაშეები, მწვრთნელები და ის ხალხი, ვის მხრებზეც ყველაფერი გადადის, ხოლო მეორე მხარეს – ჩინოვნიკთა ჯგუფი, ადამიანები, რომლებიც ბოლო 10 წელიწადია მართავენ კავშირს, რაგბი ჩაძირეს და კრიზისამდე მიიყვანეს. მეტიც, ესეც არ აკმარეს, ახლა ჩირქს სცხებენ 16 სექტემბრის მსგავსი ქმედებებით და ხალხის თვალში ყოველგვარ პატივისცემას უკარგავენ.

საბოლოოდ, არ მინდა რაიმე სახის პოლიტიკური განცხადების გაკეთება, რადგან ჩემი ადგილი არის მოედანზე, მე ვარ მოქმედი მორაგბე და რომ არა ეს გაუსაძლისი პრობლემები, საერთოდ არ ჩავერთვებოდი მიმდინარე პროცესებში. ამიტომ ჩემი უპირველესი სადღეისო ამოცანაა მოედანზე დაბრუნება და ამას ძალიან მალე მოვახერხებ.

ასევე მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება 8 ერის ტურნირისკენ უნდა იყოს მიპყრობილი, სადაც ქართველი „ბორჯღალოსნები“ და ელიტური 7 ქვეყნის ნაკრებები ითამაშებენ, რაც ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა ქართული რაგბის ისტორიაში. სამწუხაროდ, შიდა წინააღმდეგობის გამო ჩვენს მთავარ ამოცანასა და მიზანს მოწყვეტილები ვართ და იმ კლანისგან შიშველი ხელებით თავის დაცვა გვიწევს, რომელიც, წესით, რაგბის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს და არა პირად კეთილდღეობაზე!“

კობა კობახიძე

◎ ცურვა

აუზი მოზარდთათვის



ზემო ფონიჭალაში – 70-ე საჯარო სკოლის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა საცურაო აუზი „სტარტი“ (10X12 მეტრზე), რომელსაც ესწრებოდნენ მისი დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი გელა ხარატიძე, ისანი-სამგორის სასპორტო ცენტრის დირექტორი კახა ხარიტონაშვილი, წყალხტომაში სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე ნანა ნებიერიძე, კრწანისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარობის კანდიდატი ლევან ჯაფარიძე, ამავე რაიონის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაია კობრეშვილი, წყალბურთელთა კლუბ „იმედის“ მწვრთნელი დავით ხავთასი, ვეტერანი მოჭიდავე ბადრი ჯამრიშვილი და სხვები.

აუზი, რომელიც დეკანოზმა მამა შიო გოცირიძემ აკურთხა, სკოლის დაბალკლასელთა, ასევე ახლომდებარე დასახლების ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული. აქ ცურვას შეისწავლიან სამიდან ექვს წლამდე ასაკის მოზარდები, რომლებსაც პროფესიონალი მწვრთნელები მოემსახურებიან. ბავშვთა დაინტერესების მიზნით, აუზის მესვეურები რეგულარულად ჩაატარებენ ცურვის ღია გაკვეთილებს, შეჯიბრებებს მოზარდთა შორის.

ლექსო ცინცაძე

◎ ოკეანის გაღმა-გამოღმა

ზოგი ხურავს, ზოგიც იწყებს

გაირკვა კორონავირუსის პანდემიის გამო საკმაოდ შეკვეცილი ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონატის ფინალისტთა ვინაობა – ოქროს ბეჭდისთვის ერთმანეთს დასავლეთ კონფერენციის რჩეული „ლოს-ანჟელეს ლეიკერსი“ და აღმოსავლეთ კონფერენციის მოულოდნელი ყოჩი „მაიამი ჰითი“ შეხვდებიან, რომლებმაც სატიტულო ბრძოლების ზღურბლზე, შესაბამისად, „დენვერ ნაგეთსი“ – 4:1 და „ბოსტონ სელტიქსი“ – 4:2 დაამარცხეს.

კალიფორნიელთა წარმატება და, საერთოდ, მთელი ტურნირის ფავორიტობა მნიშვნელოვანწილად ლებრონ ჯეიმისსა და ენტონი დევისის ფაქტორებს უკავშირდება, რომელთა ჩინებული თამაშის ფონზეც დუაიტ ჰოვარდის წვლილიც კი დაიჩრდილა.

სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ „მეფის“ შთამბეჭდავი კარიერის საკმაოდ კაშკაშა მონაკვეთი სწორედ მომავალ მეტოქესთან და მის თავკაც ერიკ სპოელსტრასთან ასოცირდება, რაც ძველ კლუბთან მის მომავალ ბრძოლას დამატებით მოტივაციას სძენს. ბოლო მატჩში ლებრონის მონაგარი ასეთი იყო: 38 ქულა, 17 მოხსნა, 10 პასი (კარიერაში 27-ე სამმაგი დუბლი).

რაც შეეხება „მაიამის“, მის ლიდერებს ბემ ადებაიოს, ჯიმი ბატლერსა და გორან დრაგიჩს საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მშვენიერი შანსი მიეცათ და ვინ იცის, იქნებ ხმაურიანი სენსაციაც გამოაცხონ.

ამასობაში დიდებულ სერიას განაგრძობს ესპანეთის ლიგა-ენდესას ლიდერი „ტენერიფე“, რომელმაც სტარტზე ზედიზედ მესამე გამარჯვება „მურსიასთან“ სტუმრად მოიპოვა – 84:82:

ტრადიციისამებრ, კუნძულელთაგან საუკეთესო იყო გიორგი შერმადინი, რომელმაც 21 წუთში პარტნიორებს 18 ქულა და 4 მოხსნა შეაშველა. დავძენთ, რომ ბოლო წამზე სწორედ „ჯვაროსანმა“ შეასრულა შედეგიანი გადაცემა, რასაც სალინის გადამწყვეტი ზუსტი ტყორცნა მოჰყვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რეტრო

ლანჩხუთის „გურიას“ ტკბილი სიზმარი

წარმოიდგენდით, რომ სპორტით გატაცებულ თანამედროვე ქართველ ჭაბუკს ლანჩხუთის „გურიას“ შესახებ არაფერი სმენოდეს? თურმე, შესაძლებელი ყოფილა, ამიტომ ნუ დაიწყებთ მოწინავე ტექნოლოგიური მიღწევებით განებივრებული ინტერნეტ-მომხმარებლები, კომპიუტერი ყველაფერს გვასწავლისო.

რაც შეეხება კურიოზულ შემთხვევას, იგი ეროვნული ტრადიციების ერთგულ ერთ-ერთ რიგით ოჯახში მოხდა, როცა მასპინძელმა ლხინის თანამეინახეებს პატივისცემის ნიშნად მაგნიტოფონი ჩაურთო და უკვდავი „ივერიის“ პოპულარული ჰანგები გაისმა: „გურიას“ და „ბავარიას“ სუპერფინალი“. სწორედ მაშინ იკითხა თამადის გაოცებულმა ნაშიერმა – კი, მაგრამ „გურია“ რა შუაშიაო?

სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ერთეული როდია, რაშიც ჩვენც ვართ დამნაშავენი, უმეტესწილად უცხოელ ვარსკვლავთა შესახებ რომ ვწერთ და ვსაუბრობთ, ამიტომ, მოდით, დღესვე ვცადოთ საკუთარ და კოლეგათა შეცდომის მცირედით მაინც გამოსწორება და მაშინდელი ზესახელმწიფოსათვის უპრეცედენტო ამბავი გავიხსენოთ, რომელიც ძნელია შეაფასო, თუ არა სასწაული.

მაშ ასე, 1987 წლის 14 მარტი. ეს ის დღეა, როცა 9-ათასიანი მოსახლეობის დაბა ლანჩხუთის 14-ათასიან(!) სტადიონზე „გურიამ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ისტორიულ სასტარტო შეხვედრაში მოსკოვის „სპარტაკს“ ასეთი შემადგენლობით უმასპინძლა: გიგლა იმნაძე, ნუგზარ მიქაბერიძე, ენუქი თევზაძე, მერაბ თევზაძე, მალხაზ მახარაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, თემურ ჩხაიძე, გოჩა ტყებუჩავა, ბესიკ ფრიდონაშვილი, ვიქტორ ხლუსი, მერაბ მეგრელაძე. ითამაშეს აგრეთვე რომან ხაგბამ და მურმან აკოფიანმა (მწვრთნელი **ბეგი სიხარულიძე**). ბუნებრივია, ზღაპრული სეზონი უცებ არ მოსულა. ყველაფერი 1980 წლიდან დაიწყო, როცა რაიონული ცენტრის გუნდი პირველ ლიგაში გადავიდა და საოცარ წარმატებამდე სტაბილურად თამაშობდა რანგით მეორე საბჭოურ დივიზიონში. მისი პროგრესი მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი „ატეკის“ უფროსის ევგრაფი შევარდნაძის სახელსა და მარიფათს უკავშირდებოდა, რომელიც, დღევანდელი გაგებით, ღირსეულად ითავსებდა თანაქალაქელთა პრეზიდენტის, სპონსორის, მენეჯერისა თუ კიდევ ბევრ სხვა ფუნქციას, ხოლო ბიჭების წმინდა საფეხბურთო დაოსტატებაზე ენერგიულად ზრუნავდა თანამოაზრეთა შტაბი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის შალვა კაკაბაძის, გულსუნდა დუნდუასა და ნოშრევან ნარიაშვილის შემადგენლობით.

ვფიქრობთ, ვიდრე სადებიუტო შედეგებს გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა დავუბრუნდეთ იმ შეუფასებელ როლს, რომელიც აღნიშნულმა მიღწევამ შეასრულა არამარტო მხარის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს სპორტულ (და არამარტო) ცხოვრებაში.

დიახ, იქაურ კოპწია სიტადიონზე თავს იყრიდა გულშემატკივართა მთელი არმია უკლებლივ ყველა დასახლებული პუნქტიდან, ხოლო თვით სტადიონი სარეკორდოდ მოკლე ვადაში – სულ რამდენიმე თვეში, ფაქტობრივად, სრულიად საქართველოდან დაძრული მუშახელის, მათ შორის – მოხალისე სტუდენტი-ახალგაზრდობის ძალისხმევით აშენდა და დამშვენდა.

ისიც აუცილებლად სათქმელია, რომ უკვე აღარარსებულ ქვეყანაში „გურია“ თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შემდეგ მხოლოდ მესამე ქართული გუნდი იყო, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში აღზევების პატივი ხვდა წილად, ხოლო პირველ ლიგაში უკვე დასახელებულ 80-იან წლებში ლანჩხუთელებთან ერთად ნავსი ოდენ ბათუმის „დინამომ“ გატეხა 1983 წელს და ეს ოცნება აუხდენელი დარჩათ ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრების წარმომადგენლებს, როგორიცაა რუსთავი, სამტრედია, სოხუმი, გორი, ფოთი და ტყიბული.

ზემოთ ისტორია ვახსენეთ და კიდევ რამდენიმე ისტორიულ-სტატისტიკური მოვლენაც გავიხსენოთ: პირველი ქულა – 0:0 ხარკოვში „მეტალისტთან“; პირველი გამარჯვება – 2:0 საკუთარ მინდორზე ალმა-ათის „კაირატთან“; პირველი გოლი – მერაბ მეგრელაძე იმავე მატჩში.

ალბათ, დაგაინტერესებთ იმ სეზონში წარუმატებლად მოთამაშე თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრების შედეგებიც: 0:0 და 0:2 (ორივე ბურთი თემურ ქეცბაიამ გაიტანა). დაუვიწყარია აგრეთვე მრისხანე კიევის „დინამოსთან“ გმირულად გადატანილი ბრძოლაც, რომელიც ფრედ დასრულდა, თანაც ბოლო წუთებზე ლანჩხუთელებმა პენალტი ვერ გამოიყენეს. შეგახსენებთ, რომ უკრაინული გუნდი მაშინ თასების მფლობელთა თასის მოქმედი მფლობელი და სსრკ ნაკრების საბაზო კლუბი იყო.

მოგზაურობა ახლო წარსულში სრულყოფილი არ იქნება, თუ იმ მოქმედ პირებსა და შემსრულებლებსაც არ მოვიხსენიებთ, რომლებმაც აგრეთვე გატეხეს ყამირი: მწვრთნელი მიხეილ ფომენკო (იგი ივლისიდან თავკაცობდა გუნდს), სერგეი შვეცოვი, კარლო მჭედლიძე, მალხაზ არზიანი, ტყუპები – ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეები, მიხეილ ოლეფირენკო, ალექსეი ვარნავსკი, ნიკოლაი რომანჩუკი, ავთანდილ ქანთარია, ბადრი დანელია, გია გილიგაშვილი, თეიმურაზ ებანოიძე, ლევან მელიქია.

მოკლედ, მიუხედავად ყველა მეტოქესთან თავგანწირული ბრძოლისა, გამოუცდელობამ მაინც თავისი გაიტანა და „გურიამ“ ტკბილი სიზმარი სატურნირო ცხრილში დაკავებული მე-17 ადგილითა და უმაღლესი ლიგიდან დაქვეითებით დაასრულა.

სხვათა შორის, მალევე – 1989 წელს ლანჩხუთელებმა კოკისპირული წვიმის თანხლებით ბათუმში მოსკოვის „ლოკომოტივის“ დამარცხებით – 1:0 (ფრიდონაშვილი) კიდევ ერთხელ მოიპოვეს მოფამფალებული საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში თამაშის უფლება, მაგრამ პოლიტიკური პროცესები ისე განვითარდა, რომ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებნენ და ვერცხლის მედლებთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოს თასსაც დაეუფლნენ.

გიორგი ზოთაძე

შვილები თემურ, თენგიზ კუჭუხიძეები, რძლები ანიკო მენაბდე, ნათია გელოვანი, შვილიშვილები კობა, ვაკო, გიორგი ოჯახებით, შვილთაშვილები თემურ, ელენე, თენგიზ კუჭუხიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ელენე (ლენა) იროდიონის ასულ ჭელიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ტყიბული ვ. ფშაველას 15, 14 საათზე.

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ თემურ, თენგიზ, ანიკო, ნათია კუჭუხიძეებს დედისა და დედამთილის, გამორჩეული ქალბატონის

ელენე (ლენა) იროდიონის ასულ ჭელიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს კობა და მაკა კუჭუხიძეებს ბებიის

ელენე (ლენა) იროდიონის ასულ ჭელიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

ამირან, მანანა, დათო, გიგა ნიკოლეიშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ თემურ, თენგიზ, ანიკო, ნათია კუჭუხიძეებს დედისა და დედამთილის, საყვარელი ქალბატონის

ელენე (ლენა) იროდიონის ასულ ჭელიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნოდარ, მარინა ბოლოთაშვილები სამძიმარს უცხადებენ თემურ, თენგიზ, ანიკო, ნათია კუჭუხიძეებს დედისა და დედამთილის

ელენე (ლენა) იროდიონის ასულ ჭელიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

ნელი, ზაურ ფხალაძეების ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოხატავს თემურ და თენგიზ კუჭუხიძეების დედის, უსაყვარლესი და დიდად სტუმართმოყვარე ქალბატონის

ელენე (ლენა) იროდიონის ასულ ჭელიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

რამაზ ხეცურიანი, მიხეილ სალაძე, ზურაბ ფოჩხუა, ვაჟა გენგაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ თემურ და თენგიზ კუჭუხიძეების ოჯახს დედის

ელენე (ლენა) იროდიონის ასულ ჭელიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



ძალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე გადაყრილ ფულზე.

აჩქარებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქარის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

მალამო არის ძართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09.

ალექსანდრე კოტორაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა ძველი მეგობარი, ვიცე-პოლკოვნიკი

იური გალდავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ახალი გზა შატილისკენ

ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზაზე 18 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა. რეაბილიტირებული გზა არაგვის სანაპიროს მიუყვება და მთავრდება სოფელ კორშას შესასვლელამდე. ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზა ერთადერთი გზაა, რომელიც ცენტრალურ რეგიონს აკავშირებს შატილთან და პირიქითა ხევსურეთთან. **აღნიშნულ მონაკვეთს 40 წელია, არ ჩატარებია რეაბილიტაცია და გზა დაზიანებული იყო, რაც აფერხებდა ავტოტრანსპორტის გადაადგილებას.**

პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 კმ. სიგრძის გზას, გაუმჯობესდა გზის ტექნიკური პარამეტრები, რეაბილიტირდა ხელოვნური ნაგებობები. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 10 191 000 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე 9 ხიდის მშენებლობა გრძელდება, რომლის ღირებულება 6 043 441 ლარია.

შატილის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება სხვა მონაკვეთებზეც. ამ დროისათვის, ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზაზე, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, აქტიურად მიმდინარეობს 16 კმ-იანი მონაკვეთის (კმ16-კმ32) რეაბილიტაცია, მისი ღირებულება 13 337 082 ლარია.

საერთო ჯამში, შატილის მიმართულებით 12 პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდება 86 კმ. გზა და მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდება 15 ხიდს. ამ პროექტების განხორციელებას 59 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

საავტომობილო გზით ტობავარჩხილამდე

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურში ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. **სამუშაოების მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა, მერის პირველი მოადგილე გოჩა ჩიქოვანი და საქართველოს პარლამენტის წევრი ჯუმბერ იზორია გაეცნენ.**

ჩხოროწყუს მერის თქმით, ტბამდე მისასვლელი გზის მოწყობა ტურისტების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

„დავიწყეთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. ტობავარჩხილის ტბა მთელი საქართველოს მასშტაბით გამორჩეული ბუნების ძეგლია. დღეს მისი ხილვა მხოლოდ რთული მარშრუტითაა შესაძლებელი. ტბამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობის შემდეგ კი მეტ ქართველ თუ უცხოელ ვიზიტორს ველით, პროექტი ჩხოროწყუს მოსახლეობას ტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობას მისცემს.“ - განაცხადა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დავით გოგუამ.

სამუშაოები გზის 10-კილომეტრიან მონაკვეთზე ტარდება, სავალი ნაწილის სიგანე 6.5 მეტრია. პროექტის მიხედვით იგეგმება გრუნტის საფარისა და ლითონის თვალამრიდების მოწყობა.

პროექტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და მისი ბიუჯეტი 5.9 მილიონი ლარია. გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს დაახლოებით 24 თვე დასჭირდება.

იწმინდება სარწყავი არხები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სადრენაჟე და საირიგაციო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

კახეთში, წნორის კომპლექსების ტერიტორიაზე, ბოდბისხევის კოლექტორიდან გამომავალი სარწყავი არხის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

დანალექისა და ხე-მცენარეებისგან 8 500 მეტრი სიგრძის მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სიღნაღის მუნიციპალიტეტში 180 ჰექტარი სატბორე მეურნეობისთვის და 60 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობისთვის სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

საქართველოს მელიორაციამ არხის მოწესრიგების სამუშაოები საკუთარი ძალებით სექტემბერში დაიწყო და ოქტომბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

ქართული კინოს წარმატება

სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“ 4 ჯილდოს მფლობელი გახდა.

კინოფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს ნიჟარა“ გადაეცა დეა კულუმბეგაშვილის ფილმს „დასაწყისი“ და კიდევ სამი მთავარი ჯილდო.

დეა კულუმბეგაშვილი — საუკეთესო რეჟისორი (ვერცხლის ნიჟარა).

ია სუხიტაშვილი — საუკეთესო მსახიობი ქალი (ვერცხლის ნიჟარა).

დეა კულუმბეგაშვილი და რატი ონელი — საუკეეთესო სცენარი (ჟიურის სპეციალური პრიზი).

„დასაწყისის“ ჩრდილოეთ ამერიკული პრემიერა რამდენიმე დღის წინ შედგა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ფილმს გადაეცა კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (FIPRESCI) ჯილდო.

ია სუხიტაშვილის პირველი ემოცია: **„ვაიმეე, ცუდად ვარ, ისეთი შოკი მაქვს... საქართველო გილოცავ“...**

„ს.რ.“-ის რედაქცია მთელ შემოქმედებით ჯგუფს ულოცავს ამ გამარჯვებას!

რევაზ თოფურია

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ 2020-ის გამარჯვებულები ცნობილია

მწერალთა სახლში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მწერალთა სახლის ერთობლივი ლიტერატურული პრემიის „ლიტერას“ დაჯილდოება გაიმართა. რიგით მეხუთე საიუბილეო დაჯილდოებაზე გამარჯვებულები ექვს ნომინაციაში გამოვლინდნენ.

126 საკონკურსო განაცხადიდან მოკლე სიაში 38 წიგნი მოხვდა, „ლიტერა 2020-ის“ გამარჯვებულები კი გახდნენ:

წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი:

თინათინ ჩხიკვიშვილი — ჯანა ამირეჯიბის წიგნისთვის „მე — ნამდვილი კოკოშა“, გამომცემლობა „არტანუჯი“;

წლის საუკეთესო დებიუტი:

ნინი ელიაშვილი — „წერტილის შემდეგ“, გამომცემლობა „ინტელექტი“;

საუკეთესო დოკუმენტური პროზა:

გიორგი მაისურაძე — „სხვა ენა“, გამომცემლობა „ინდიგო“;

წლის საუკეთესო პოეტური კრებული:

შოთა იათაშვილი — „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“, გამომცემლობა „ინტელექტი“;

წლის საუკეთესო პროზაული კრებული:

ეკა ქევანიშვილი — „არაფერი დედაჩემის შესახებ“, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“;

წლის საუკეთესო რომანი:

ირაკლი სამსონაძე — „ქელეხი — ქორწილი“, გამომცემლობა „ინტელექტი“;

ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ 2015 წელს დაარსდა და მას შემდეგ ყოველწლიურად გაიცემა. 2016-2019 წლებში ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ გამარჯვებულები იყვნენ: **ბესიკ ხარანაული, ვახტანგ ჯავახაძე, ნაირა გელაშვილი, ზვიად რატიანი, ზურაბ ქარუმიძე, ნანა ექვთიმიშვილი, არჩილ ქიქოძე, როსტომ ჩხეიძე, გიორგი შონია, სოსო მეშველიანი, ლელა სამნიაშვილი, ბექა ქურხული, გიორგი შონია, ნიკა ლაშხია, ნატალია ავალიანი, მაქსიმე მაჩაიძე და სხვები.**

აფხაზური პოეზიის ანთოლოგია

ქართულ ენაზე „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“ გამოიცა. კრებულში შესულია აფხაზი ავტორების ლექსები და პოემები, რომლებიც ახალგაზრდა პოეტმა და აფხაზური ლიტერატურის მკვლევარმა, ტერენტი გრანელის სახელობის პრემიის ლაურეატმა ნიკა ბაძაღუამ თარგმნა.

ანთოლოგიის გამომცემელ-რედაქტორის ზაურ ნაჭყებიას განცხადებით, აფხაზური პოეზიის ნიმუშები გასული საუკუნის 20-30 წლებიდან გახდა მკითხველისთვის ხელმისაწვდომი და უფრო ადრეულ პერიოდში ბეჭდური, ან ხელნაწერი ნიმუშები ცნობილი არ არის.

მისივე ინფორმაციით, „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“ 160-გვერდიანია და 65 ავტორის ლექსი და პოემაა შესული.

„აფხაზური პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემა ნიდერლანდების სამეფოში არსებულმა ორგანიზაცია World of Diaspora-მ დააფინანსა, რომლის თანადამფუძნებელი ლალი ბუთბაია აფხაზეთიდაა.

„ორგანიზაცია World of Diaspora-ს დამფუძნებლები ჩემთან ერთად იზოლდა კვიციანი და ნინო უბილავა აფხაზეთიდან არიან. ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ტერიტორიების დაბრუნებამდე ჯერ ქართველებმა და აფხაზებმა უნდა დაიბრუნონ ერთმანეთი. გაჩნდეს ნდობა, აღდგეს ურთიერთობები და დანგრეული ხიდები. ამისთვის World of Diaspora მნიშვნელოვან ღონისძიებებს და პროექტებს გეგმავს. ამ ანთოლოგიის გამოცემაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენისთვის გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩავთვალოთ“, — განაცხადა ლალი ბუთბაიამ.

ლალი ბუთბაიას განცხადებით, „აფხაზური პოეზიის ანთოლოგიის“ წარდგენა ნიდერლანდების სამეფოში შემოდგომაზე იგეგმებოდა, თუმცა covid-19-ის პანდემიის გამო გეგმები შეიცვალა, ამის გამო ნიდერლანდებში მცხოვრები ქართველებისა და აფხაზებისთვის პრეზენტაცია გაზაფხულზე გაიმართება.

„აფხაზური პოეზიის ანთოლოგიის“ რედაქტორი პროფესორი, აფხაზოლოგი თეიმურაზ გვანცელაძეა. პროექტის მხარდამჭერი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

გასაცინებელი ა(მ)ბები

* * *

— **ოფიციანტო**, თუ შეიძლება მე და ამ მშვენიერ ქალბატონს ბულბულების შემწვარი ნეკნები, ბელურის კვერცხში მოხარშული ტოროლის ტვინი და ფარშევანგის მუჟუჟი მოგვიტანეთ!

— გვაპატიეთ, ბატონო, მაგრამ ჩვენს მენიუში მსგავსი საჭმელი არასდროს გვქონია!

— აი, ხომ გეუბნებოდი, ამ კურორტზე ნორმალური რესტორანი არ არის. — მიუტრიალდა ყმაწვილი ქალიშვილს, — შენ კი აიჩემე, რესტორანი მინდა, რესტორანი მინდაო...

* * *

რჩევები ავტომოყვარულებს

— **თუ** საბურავებს წყალბადით გაბერავთ, მათ დაშვებას იმწამსვე გაიგებთ მცირე აფეთქების ხმით;

— თუ თქვენი მანქანის კარტერიდან ზეთი წვეთავს, ის მთლიანად გადმოღვარეთ და წვეთა შეწყდება;

— თუ მანქანის გადაცემისგან თავის დაზღვევა გსურთ, ღამღამობით მძღოლის დასაჯდომი სახლში შეიტანეთ.

* * *

— **რით** დასრულდა ცოლთან შენი გუშინდელი დავიდარაბა? — ეკითხებიან მეგობრები თავიანთ ძმაკაცს.

— როგორ თუ რით? მუხლებზე დაიჩოქა ჩემს წინაშე.

— და რაო, რა გითხრა?

— „ახლავე გამოძვერი საწოლის ქვეშიდან, ეგ ტანსაცმელი ისევ ჩემი გასარეცხიაო!“

* * *

საზეიმო მიღებაზე ორი ინგლისელი ერთმანეთს ეცნობა:

— ჯორჯ ბრაუნი, მეწარმე: ქვანახშირი და ნავთობი, სერ,

— ამბობს ერთი.

— ძალიან სასიამოვნოა, რობერტ სმიტი, ციხის უფროსი: პური და წყალი.

* * *

რესტორნის კლიენტი მიმართავს მეტრდოტელს:

— გეთაყვა, იქნებ გადაამოწმოთ, კიდევ მუშაობს თუ არა თქვენთან ის ოფიციანტი, მე რომ შეკვეთა მივეცი?

* * *

— **მაესტრო**, თქვენი ბოლო ფილმი ნამდვილი შედევრია, მე ის გუშინ ვნახე!

— აჰ, ჩემო კარგო, ეს თქვენ იჯექით დარბაზში?

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3332; ევრო - 3.8812;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2365;
100 რუბლი - 4.2875; თურქული ლირა - 0.4381;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9622;
1000 სომხური დრამი - 6.8566.

ამინდი 29 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge